# საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 15 იანვარი. 2016 წ. №8 (7900), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!..

## თვალები გაახილეთ, ქართველო ბანკირებო!

④

## როცა რწმენას გიკარგავენ მეფისნაცვლის მონატრება?!



ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

③

## რატომ არ ახსენა ბარაკ ობამამ საქართველო

⑥





## პუტინი და ერდოღანი ჩხუბობენ, ყმებს კი თავსაბურავები ეხევათ

⑨

⊙ ჩვენისთანა ბედნიერი...

# მოგვი, მორგვი თუ მორგი...

**მგონი, მშველელი ბრძენთა ბრძენი გამოჩნდა!..**

ეს თვითგაექსპერტებული იმანო ხუხაშვილი, სახალისოდ გიად სახელდებული, ან მართლა მოგვია, ზოროასტრის სჯულის მღვდელმსახური, ცეცხლმსახურთა ქურუმი, ვარსკვლავმრიცხველი და გრძნეული-მისანი, ქართველთა ჭკუის სასწავლებლად მოვლენილი, ან უაზროვნობის მორგვი, ანუ მოკლე და მსხვილი მორი, იგივე კუნძი, ანდა ორფეხა მორგი, ანუ მკვდარ აზრთა საცხედრე...

აი ასეთი ფიქრები ამიშალა ამ იმანოს გუშინ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულმა წინასაარჩევნოდ მიმდინარე პროცესების შესახებ ინტერვიუმ, სადაც ის მთელი კატეგორიულობით აცხადებს, რომ **„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში აღარ არის, რომ კოალიციას საკუთარი უსუსურობა აერთიანებს,** რომ **ქვეყანას კოლექტიური მურუსიძე მართავს...** აქვე იმას ადიაგნოზებს, რომ **„ქართული ოცნება“ დაავადებულია სტოკჰოლმის სინდრომით, როდესაც მხევალს უყვარდება თავისი მწვალებელი და უიმისოდ ცხოვრება აღარ შეუძლია,** ანუ „ქართული ოცნება“ თურმე გამიჯნურებულია თავის მწვალებელ ნაციონალებზე, რომელთაც არა და არ ებრძვის, რათა თავი საბოლოოდ დაიმკვიდროს... და თან, ჩვეულებრისამებრ, გვესიბრძნება, რომ **ხელისუფლებას ჩვენ ვირჩევთ არა იმისათვის, რომ ვიღაცას ებრძოდეს, არამედ იმისათვის, რომ ქვეყანა მართოს...** ერთი სიტყვით, კაი გვარიანი იწილო-ბიწილოს გვთავაზობს ეს ჩვენი თვითნასწავლი სახელმწიფო ანალიტიკოსი იმანო ხუხაშვილი, რომელიც თავის მკვდრადშობილ აზრებს ჩვენი საზოგადოების ერთი გაუთვითცნობიერებელი ნაწილის პოლიტიკური უმეცრების უცეცხლო ცეცხლზე ხუხავს და პოლიტიკური ტერმინოლოგიით ეშმაკურად შეფუთულს ავრცელებს, როგორც გულუბრყვილო ადამიანების დამაბნეველ მავნე იდეოლოგიურ რადიაციას.



ისე, კაცმა რომ თქვას, თუ ქვეყანაში ასეთი ბრძენთა ბრძენი გვყავს და ქვეყანა კი ბრძენთაბრძენობის ესოდენ სიმწირეს განიცდის, ხომ არ აჯობებდა, რომ პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობები გაგვეერთიანებინა, ტახტოსან-გვირგვინოსანი დაგვერქმია და სულაც ეს იმანო ხუხაშვილი დაგვესვა ზედ, ტვინგადმომდინარე თავზე გვირგვინდადგმული.

აბა, მერე ნახეთ სახელმწიფოებრივი სიბრძნის ფრქვევა, ქვეყნის გასაძლიერებელი რეცეპტების ცვენა, თვითონ ის ბიბლიური სოლომონ ბრძენიც კი უცხოდ ბეჭდებასხმულ თითებს ეგრევე მოკაკვავდა, და, რაც მთავარია, ჩვენს ბედკრულ საქართველოსაც ერთხელ და სამუდამოდ ეშველებოდა და ჩვენისთანა ბედნიერი ერი მართლაც არსადაც არ იქნებოდა...

დასასრულ, მაშველი რგოლის მიგნებით გულაფანცქალებულმა ლექსად უნდა შევძახო: **ჩემო ქვეყანავ, მჭმუნვარე ნუ ხარ, ტყუილად წუხხარ, გამოჩნდა ბრძენი სახელად ხუხა, ის აგაყვავებს, ის გაგაბრწყინებს, აგვიბრიალებს ცხოვრების ბუხარს...**

ლექსი იქნებ დამიწუნოს კიდეც ტახტოსან-გვირგვინოსანმა მოგვმა ხუხამ, მაგრამ, ღმერთმანი, გულიდან ამოვიძახე როგორც დღეს და ხვალ თუ არა, გულთმისან ხუხასაგან მაზეგ მაინც ნაშველი ბედნიერი ერის შვილმა.

**გურამ წიკლაური**

## ახალგაზრდებო, ფულის შოვნისთვის საჭიროა კარგი ცოდნა!

⑫

ბოდო შეფერის სიმდიდრის 21 პრინციპი



②



## ბურჭულაძემ პირველი ოფისი თელავში გახსნა

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.416; ევრო - 2.612;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.486;
100 რუბლი - 3.165; თურქული ლირა - 0.801;
აზერბაიჯანული მანათი - 1.512;
1000 სომხური დრამი - 5.004

**ამინდი 15 იანვრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +1, | დღე +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -3, | დღე +4 |

დასავლეთ საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +1, | დღე +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -3, | დღე +3 |
| თბილისი: | ღამე +4, | დღე +8 |


**ჩვენი მისამართია:**
თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. №7 — მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

# საქართველომ სახელმწიფო დროშის დღე აღნიშნა



**საქართველოში გუშინ სახელმწიფო დროშის დღე აღინიშნა.** თარიღთან დაკავშირებით ქვეყნის რეგიონებში ადმინისტრაციულ შენობებზე ეროვნული დროშები აღიმართა. ქართულმა დროშამ დაამშვენა ენგურის ხიდზე პოლიციის შენობაც. პირველად სახელმწიფო დროშის დღე საქართველოში 2012 წლის 14 იანვარს იზეიმეს.

* * *

**გუშინ საქართველოს რეგიონებშიც სახელმწიფო დროშის დღე აღინიშნა. სახელმწიფო დროშა შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებმა სოფელ რუხში, ენგურის ხიდთან მდებარე პოლიციის საგუშაგოსთან 08:00 საათზე აღმართეს.**

ბათუმის საზღვაო აკადემიის და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გმირთა საფლავებთან შეიკრიბნენ და საქართველოს ჰიმნის თანხლებით საქართველოს დროშა აღმართეს.

კახეთში, 11 საათზე ლაგოდეხის გამგეობასთან, თელავის უნივერსიტეტის სტუდენტებმა საქართველოს დროშა ჰიმნის ფონზე აღმართეს. საზეიმო ღონისძიებას ლაგოდეხში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. კახეთში ღონისძიება ახმეტაშიც გაიმართა.

საქართველოს დროშის დღე ახალციხეშიც აღნიშნეს, ყაზბეგში და მარნეულში ახალგაზრდებმა დროშა იუსტიციის სახლებთან აღმართეს და სახელმწიფო ჰიმნი შეასრულეს.

სტუდენტებმა სახელმწიფო დროშები შინდისში, გმირთა მემორიალთან და ბოლნისში გამგეობის შენობასთანაც აღმართეს.

სტუდენტები რეგიონებიდან თბილისში ჩამოვიდნენ და საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში საზეიმო ღონისძიებაზე საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს შეხვდნენ.

სპეციალურად ამ დღისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დამზადდა სახელმწიფო დროშის ორიგინალი, რომელიც საპატიო ყარაულმა სიმბოლურად პრეზიდენტის სასახლეზე აღმართა.

## ბრძოლა დანაშაულთან იქნება შეურიგებელი

**„ნებისმიერი პირი, რომელიც არ დაემორჩილება პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას და გამოხატავს უპატივცემულობას პოლიციის მიმართ, პასუხს აგებს კანონის სრული სიმკაცრით“, — ამის შესახებ შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ახალი მოადგილეებს წარდგენისას განაცხადა.**




„დანაშაული არსებობდა და ყოველთვის იარსებებს — მთავარია, სახელმწიფო რას უპირისპირებს მას. დანაშაულს ჩვენ ვუპირისპირებთ შეუწყნარებელ პოლიტიკას. ჩვენი მიზანია, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო ეფექტური შედეგები და უსაფრთხოების კიდევ უფრო მაღალი სტანდარტების დამკვიდრება. ხაზგასმით ვაცხადებ, არანაირი შეღავათი, არანაირი მოწოდება და თხოვნა, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს ეს, არ იქნება გათვალისწინებული, როცა საქმე გვაქვს სამართალდამრღვევთან და დამნაშავესთან. მიუხედავად კრიმინალის დამცველების მხრიდან პოლიციის მიმართ პერიოდულად გაჟღერებული ინსინუაციებისა, პოლიცია არც ერთი ნაბიჯით უკან არ დაიხევს, იგი იმოქმედებს კანონის და, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებების სრული დაცვით და გააგრძელებს უკომპრომისო ბრძოლას დანაშაულის წინააღმდეგ. ნებისმიერი პირი, რომელიც არ დაემორჩილება პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას და გამოხატავს უპატივცემულობას პოლიციის მიმართ, პასუხს აგებს კანონის სრული სიმკაცრით. მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, ვაცხადებ, რომ ბრძოლა დანაშაულთან იქნება შეურიგებელი, შეუვალი და ჩვენ ერთად, ამ გზაზე აუცილებლად ვიქნებით წარმატებულებიძძ, - განაცხადა მინისტრმა.

გიორგი მღებრიშვილმა 3 ახალი მოდგილე წარადგნა. კერძოდ, მისი პირველი მოადგილე ბესიკ ამირანაშვილი იქნება, მოადგილეები კი, დავით ვარდიაშვილი და მერაბ მალანია.

## თავდაცვის მინისტრი ავღანეთში ჩავიდა

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი და გენერალური შტაბის დელეგაცია ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე ქართულ ქვედანაყოფებს ეწვივნენ. ვიზიტი ქაბულში, ცენტრალური სარდლობის ბაზაზე სტუმრობით დაიწყო.**




დელეგაცია 23-ე ბატალიონის „ალფა“ ასეულის პირად შემადგენლობას შეხვდა, მოისმინა მათი პრობლემები და ქვედანაყოფის მიერ ავღანეთში მიღებული გამოცდილებით დაინტერესდა. შეხვედრის დიდი ნაწილი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

„ალფა“ ასეულის მეთაურმა, მაიორმა ირაკლი ქობალიამ მინისტრს პირადი შემადგენლობის სახელით სიმბოლური საჩუქარი გადასცა. ასევე დაჯილდოვდა ასეულის I კლასის რიგითი რუსუდან ივანეიშვილი. მას ჯილდო ავღანეთში საქართველოს უფროსმა სამხედრო წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა გიორგი ბლიაძემ გადასცა.

თინათინ ხიდაშელი ასეულის მეთაურის მიერ ჩატარებულ საინფორმაციო ბრიფინგსაც დაესწრო. შემდეგ კი დელეგაცია მართვის ცენტრსა და ბაზის გამშვებ პუნქტებს ეწვია.

ცენტრალური სარდლობის ბაზაზე ვიზიტის დასასრულს თინათინ ხიდაშელი „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის მეთაურის მოადგილეს, ბრიტანელ გენერალლეიტენანტ ტიმ რედფორდს შეხვდა. მხარეებმა ავღანეთში კოალიციური ძალების სამომავლო გეგმებსა და მასში ქართული სამხედრო კონტინგენტის შესაძლო მონაწილეობის თაობაზე იმსჯელეს.

## ლილუაშვილმა „ქართუდან“ ნარმანიას მოადგილედ გადაინაცვლა

**დავით ნარმანიამ დედაქალაქის მერის მოადგილის თანამდებობაზე „ქართუ ბანკის“ საბჭოს ხელმძღვანელი გიორგი ლილუაშვილი წარადგინა. პრესკონფერენციაზე დავით ნარმანიამ აღნიშნა, რომ გიორგი ლილუაშვილს აქვს მდიდარი გამოცდილება აღნიშნულ პოსტზე წარმატებით მუშაობისათვის.**



„ის არის განათლებით ეკონომისტი, საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი. 1999 წლიდან მუშაობდა როგორც საჯარო სექტორში, ასევე კერძო სექტორში. საჯარო სექტორში ის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა წამყვან პოზიციებს იკავებდა. რაც შეეხება კერძო სექტორში მის გამოცდილებას, ის გახლავთ „ქართუ ჯგუფის“ წევრი და წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა წამყვან თანამდებობაზე — შპს „ბურჯში“, „ქართუ მშენებელსა“ და ბანკ „ქართუში“. მას გააჩნია ყველა უნარ-ჩვევა და თვისება იმისთვის, რომ წარმატებით გაუძღვეს იმ მიმართულებას, რასაც მერის მოადგილის პოსტი ჰქვია.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ერთობლივად შევძლებთ განვაგრძოთ იმ უმნიშვნელოვანესი საქმეების კეთება, რომელიც თბილისის განვითარებას უკავშირდება“, — განაცხადა თბილისის მერმა.

გიორგი ლილუაშვილმა თბილისის მერის მოადგილის თანამდებობაზე გიორგი სოლომონია შეცვალა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს დაუბრუნდა.

დედაქალაქის მერის განცხადებით, გიორგი სოლომონიას მიერ თანამდებობის დატოვება არ უკავშირდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ტემპებს.

სოლომონიას შემცვლელის წარდგენის შემდეგ, დავით ნარმანიამ აღნიშნულ საკითხზე ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა, რომელიც თბილისის მთავრობის მიმართ ახალი პრემიერის განწყობას შეეხებოდა. მერის განცხადებით, ეს საკითხი ოპოზიციის მიერ არის წამოწეული.

„პრემიერის განწყობა და პოზიცია დედაქალაქთან მიმართებაში არის ის, რომ ჩვენ ერთობლივად გავაგრძელოთ დედაქალაქის განვითარება, რაშიც გვაქვს სრული მხარდაჭერა. მეორე მხრივ არის მზაობა ძალიან მჭიდრო თანამშრომლობის. მესამე მხრივ, ჩვენ ასევე მზად ვართ აქტიურად ვითანამშრომლოთ იმისთვის, რომ ერთობლივი ძალისხმევით, ერთობლივი ზრუნვით გავხადოთ ჩვენი ქალაქი საცხოვრებლად ბევრად უფრო მიმზიდველი და კომფორტული“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მან დადებითად შეაფასა გიორგი სოლომონიას მუშაობა მერიაში და აღნიშნა, რომ ოპოზიცია როგორც ყოველთვის ახლაც ცდილობს რაღაცები მოიფიქროს, მოიგონოს და ამით მოიგოს საინფორმაციო სივრცე.

## ბურჭულაძის პირველი რეგიონალური ოფისი თელავში

**„საქართველოს განვითარების ფონდის“ დამფუძნებელმა პირველ რეგიონალური ოფისი თელავში გახსნეს.**

**ორგანიზაციის ინფორმაციით, პაატა ბურჭულაძე სასტუმრო „ალაზნის ველში“ შეკრებილ თელავის მცხოვრებლებს შეხვდა და მათ ფონდის საქმიანობის და ახალი მონიტორინგის ცენტრის მიზნები გააცნო, რომელიც ფუნქციონირებას დღეიდან იწყებს.**

უახლოეს პერიოდში „პაატა ბურჭულაძის საქართველოს განვითარების ფონდი“ რეგიონული ოფისების გახსნას და მონიტორინგის ცენტრების ამოქმედებას მთელი საქართველოს მასშტაბით გეგმავს.

„საქართველოს განვითარების ფონდის“ ინფორმაციით, თელავის შემდეგ, დღეს პაატა ბურჭულაძე ქალაქ რუსთავის მცხოვრებლებთან გამართავს შეხვედრას, კერძოდ, მეტალურგებთან, ექიმებთან, პედაგოგებთან, ხელოვანებთან და კულტურის სფეროში მომუშავე სპეცილისტებთან.

„საქართველოს განვითარების ფონდის“ ოფიციალური პრეზენტაცია ერთი თვის წინათ გაიმართა. გასული პერიოდის განმავლობაში პაატა ბურჭულაძემ სამუშაო შეხვედრები ევროკავშირის ქვეყნების ელჩებთან, ამერიკის ელჩთან იან კელისთან, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან გამართა.



# მეფისნაცვლის მონატრება?!

## უსამართლობა მართალი სამართლისა და სამართლიანობის დამკვიდრების დაპირებით მოსული ხელისუფლების პირობებში?!



## ღია წერილი

### საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

**ბატონო გიორგი, მოგესალმებით და გამოვხატავ თქვენდამი ღრმა პატივისცემას. წარმატებებს გისურვებთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეო საქმეების გადაწყვეტაში.**

**ამავდროულად, თავს უფლებას ვაძლევ, გთხოვოთ, რომ დაინტერესდეთ სს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობის მიერ ჩემი ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი უსამართლობით. ჩვენი ყოველნაირი აქტიური მცდელობა, როგორმე შევხვედროდით, ტელეფონით მაინც დავლაპარაკებოდით ან პასუხი მიგვეღო რკინიგზის თავკაცისთვის ელფოსტით მიწერილ მიმართვებზე, დამთავრდა უშედეგოდ. ბატონი მ.ბახტაძე დაიმალა, ჩაიქრა!**

მაგრამ მან ის კი მოახერხა, რომ ძალა არ დაეშურა წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნის არაპროფესიონალი მეუღლის თანამდებობაზე დარღვევებით დასანიშნად, იგი სხვა შემთხვევებშიც უგულებელყოფდა კანდიდატურების შერჩევისას კონკურსის გამოცხადებას, არ ადარდებდა თანამდებობაზე რეპუატაციაშელახული კადრების მიღება. ამის შესახებ ვწერდი საქრკინიგზის ხელმძღვანელს, „საქრკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს (ა. გუნცაძეს), საქრკინიგზის მფლობელს (საპარტნიორო ფონდს). სამწუხაროდ, ყველამ პირში წყალი ჩაიგუბა. ამ ფაქტებზე, რომლებზეც მე ვლაპარაკობ და ვწერ, ინფორმაცია საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომია. აი, ამ და სხვა დარღვევების ფონზე „საქრკინიგზის“ ხელმძღვანელმა თვალთმაქცური ხერხებით სამსახურიდან გაათავისუფლა ლა ვერნ კალიფორნიის უნივერსიტეტის ეკონომისტ ბაკალავრი, პლუს საზღვაო ეკონომიკისა და ლოჯისტიკის მეცნიერებათა მაგისტრი, როტერდამის, ერაზმუს უნივერსიტეტში განათლებამიღებული მირზა დოლიძე. ამ პროფესიონალის გათავისუფლება „დასაბუთებულია“ სს „საქართველოს რკინიგზის“ ჩანაწერით (დადგენილება № 2/35 16.07 2013), **„მიზანშეწონილია გათავისუფლდეს“. აი, მთელი „დასაბუთება“.**

**ჩემი გაგებით, ეს არის თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახელმწიფოს კაპიტალის – ადამიანური რესურსების ხარჯზე, მისი უდარდელად გაფლანგვის ხარჯზე,** მთავრობის იმიჯის შელახვის ხარჯზე. ასეთი მავნე გამოვლინებების აღმოსაფხვრელად მივმართე ზემოთჩამოთვლილ დიდ ხელმძღვანელ ბატონებს, მაგრამ მათ ჩემი მიმართვები ოსტატურად „დამარხეს“ და ურეაგირებოდ დატოვეს.

ამის შემდეგ ათჯერ მივმართე ყოფილ პრემიერმინისტრს მთავრობის ადმინისტრაციის მეშვეობით და შემდეგ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ღია წერილებით. გასაკვირია, მაგრამ მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ქ-ნი მაია ცქიტიშვილი ყველა ჩემს მიმართვას აგზავნიდა მხოლოდ რკინიგზაში, იქ კი, როგორც ადრე ვთქვი, „მარხავდნენ“. ჩემმა ვერც ერთმა მიმართვამ პრემიერმინსტრამდე ვერ მიაღწია. ასე გავიდა თითქმის 30 თვე სამართლიანობის ძებნაში. არადა, როგორც იტყვიან, ყველაფერი ზედაპირზე დევს, საძებარ-გამოსაძიებელიც არაფერია.

ჩემს მიმართვებში არის მირზა დოლიძის CV. საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტურად შეიძლება ინახოს, როგორი უმოქმედო ჩაიბარა მან „საქრკინიგზის“ შვილეული კომპანია „ტრანს კავკასუს ტერმინალსი“ და როცა დიდი ძალისხმევით აამოქმედა საკონტეინეროები თბილისში, ფოთში, ბათუმში, ამის შემდეგ გახდა „მიზანშეწონილი“ მისი გათავისუფლება (?!).

**კარგი იქნება, თუ მიაქცევთ ყურადღებას, ვინ დაინიშნა მის შემცვლელად, რომელიც რამდენიმე თვეში შეიცვალა კვლავ წარუმატებელი შემცვლელით. გაუგებარია, ვისთვის ან რისთვის იყო „მიზანშეწონილი“ კარგი ეკონომიკური ხედვის მქონე, განათლებული პროფესიონალის, საქმის**



გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
ГАЗЕТА „Сакартвелос Республика“
THE NEWSPAPER „Sakartvelos Respublika“

№ 23 «30» 2015 წ.

სს „საქართველოს რკინიგზის“
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს
აკაკი გუნცაძეს

**ერთგული, ოთხი ენის მცოდნე, სუფთა ბიოგრაფიის პატრონი მ. დოლიძის გათავისუფლება.**

ბატონო გიორგი! ამ მიმართვასთან ერთად მეტი სიცხადისთვის შევეცდები, მოგაწოდოთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომრები (08.08.2015; 25.09.2015; 02.08.2014; 22.11.2013), რომლებშიც ამ საკითხთან დაკავშირებთი ჩემი წერილებია გამოქვეყნებული. საჭიროების შემთხვევაში შემიძლია მოგაწოდოთ ჩემი მრავალრიცხოვანი მიმართვების ასლებიც (ისინი რეგისტრირებულია მთავრობის ადმინისტრაციაში).



გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
ГАЗЕТА „Сакартвелос Республика“
THE NEWSPAPER „Sakartvelos Respublika“

№ 51 «13» 2015 წ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის
უფროსს მაია ცქიტიშვილს

**ამ მიმართვებში აღვნიშნავდი, რომ ბატონი ბიძინას ხალხი უზნეობას არ დაუშვებდა, რადგან მათ უთუოდ ეცოდინებოდათ პატიოსნების, ჩვენი ქვეყნისთვის განათლებული და პროფესიონალი კადრების საჭიროება, მაგრამ, თურმე სადა ხარ!** 30 (ოცდაათი) თვის მანძილზე სამართლიანობას ვერ მივაღწიე. და როდესაც მართალი სამართლისა და სამართლიანობის დამკვიდრების დაპირებით მოსული ხელისუფლების წარმომადგენელთა ასეთი უყურადღებობა-უზნეობით გულდაწყვეტილს მხედავდნენ, „საქართველოს რესპუბლიკის“ უამრავი მკითხველი, უცნობ-ნაცნობები, ნათესავ-მეგობრები მეკითხებოდნენ ხოლმე: **„ისევ მისცემ ხმას „ქართულ ოცნებას“, რომელსაც სს „საქრკინიგზის“ დირექტორად ჰყავს უსამართლო მ.ბახტაძე, სს „საქრკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ – ასევე უსამართლო ა.გუნცაძე, საპარტნიორო ფონდის დირექტორად – ასეთივე უსამართლო-გულგრილი ი.კოვზანაძე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსად – არანაკლებ უსამართლო, მხოლოდ თავის სკამზე შეყვარებული ქ-ნი მ. ცქიტიშვილი?“**

შეკითხვა რთულია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩამოვყალიბდები და პატიოსნად ვუპასუხებ ჩემი ოჯახის გულშემატკივრებს „სრ“ მეშვეობით, ვინაიდან ხალხი არის ქვეყანაში სამართლიანობის ნიმუში და გარანტი.

**მერწმუნეთ, ბატონო გიორგი, სწორედ და მხოლოდ ქვეყნად სამართლიანობის, ზნეობრიობისა და კეთილსინდისიერების დამკვიდრებაა ჩემი უმთავრესი მიზანი და არა ჩემი უსამართლოდ გათავისუფლებული ვაჟიშვილის სამსახურში აღდგენა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისნაირი განათლებული და ნიჭიერი, პროფესიონალი კადრისთვის (მაპატიეთ საკუთარი ვაჟის ასე აღმატებულ ხარისხში მოხსენიება) სამსახურის შოვნა დიდი პრობლემა არ არის და აქვს კიდეც შემოსავალი.**

**ამიტომაც ამ საკითხის გამო სამართიანობის გამარჯვება უფრო იმისთვის მინდა, რომ ხალხმა რწმენა არ დაკარგოს და ხელი არ ჩაიქნიოს!**

**შესაძლოა, ბევრ ობივატელს ირონიულადაც ჩაეცინოს და ერთგვარ თეატრალურ ჟესტადაც ჩამითვალოს ზემოთქმული, მაგრამ ეს მართლაც ასეა!**

ამიტომაც ვუთხარი ერთ ჩემს ახლობელს, თუ საჭირო გახდა, „ოთარაანთ ქვრივივით“ რკინის ქალამანსაც ჩავიცვამ სამართლის საპოვნელად-მეთქი.

**– მერე გაქვს კი იმის იმედი, რომ თითქოს სამწლიანი უშედეგო მცდელობით გადაღლილს იმ მეფისნაცვალივით გულისხმიერი კაცი შეგვხვდება, გულიანი გადახარხარების მერე რომ უთხრა მასთან სამართლის საძიებლად მისულ კინოვერსიულ ოთარაანთ ქვრივს, – ცადი, შენი კათამი სახლშიაო, – ან იმნაირი შემსრულებელი გზირი, რკინიგზის ხელმძღვანელის სახით, ვინც სამართალს აზეიმებს – მკითხე მან.**

სიმართლე გითხრათ, დავიბენი და ვერაფერი ვერ ვუპასუხე.

**ბატონო გიორგი, ბოდიშს მოგიხდით შეწუხებისთვის, მაგრამ რადგან სხვებს არ აინტერესებთ ადამიანების ბედი და, ესე იგი, ქვეყნის მომავალი, ყოველივე ეს მინდა, იცოდეთ თქვენ.**

**თანაც, მერწმუნეთ, ძალიან არ მინდა, რომ ნიკოლოზასდროინდელი მეფისნაცვალი გაუხდეს ხალხს სანატრელი!**

წინასწარ გიხდით მადლობას!

პატივისცემით,

**ტარიელ დოლიძე,**

ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის 78/58 ბ.160
ტელ: 27 62 01
მობ: 599 55 85 07



გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
ГАЗЕТА „Сакартвелос Республика“
THE NEWSPAPER „Sakartvelos Respublika“

№ 30 «30» 2015 წ.

საქართველოს მთავრობის
ადმინისტრაციის უფროსს
მაია ცქიტიშვილს

## ინფორმაცია

### ელისაშვილის უფლებებს თამარ ავალიანი დაიცავს

**საპარლამენტო დეპუტატის ალეკო ელისაშვილის უფლებებს, „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ადვოკატი თამარ ავალიანი დაიცავს.**

**შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ გუშინ ადვოკატთან და „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ დირექტორთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ აპირებს მოვლენებს ფეხდაფეხ მიჰყვეს.**

**მისი თქმით, პროკურატურასთან მხოლოდ ფორმალურ თანამშრომლობას აპირებს და სამართლებრივ პროცედურებში მასთან ერთად იქნება ადვოკატი თამარ ავალიანი.**

**ელისაშვილმა ასევე განაცხადა, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დაუდასტურეს გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, პროკურატურამ მისი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ცესკოდან გამოითხოვა.**

**„არ ვიცი, ეს რატომ მოხდა, რა კავშირი აქვს მიმდინარე გამოძიებასთან სარეგისტრაციო დოუმენტაციას და იკვლევენ თუ არა ჩემი საინიციატივო ჯგუფის წევრებს. ჯერჯერობით ამას ვერ მივხვდი“, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.**

**ელისაშვილის მიერ დეპუტატების, ეკა ბესელიასა და მანან კობახიძის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებთან დაკავშირებით, გამოძიება მიმდინარეობს. დეპუტატებმა მის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს.**

### ფიზიკის ინსტიტუტი განახლდა

**განათლების სამინისტროს ცნობით, მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით 82%-ით ბიუჯეტი გაიზარდა, რითაც მეცნიერთა ხელფასი საშუალოდ 2.5-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს აღჭურვა-რეაბილიტაციისთვის 23 მლნ ლარამდე გამოეყოთ, აქედან, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტმა 700 000 ლარი მიიღო.**

**გუშინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტს ეწვია, რომელიც ერთ-ერთი სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც სამინისტროს მხარდაჭერით ძირეული, მათ შორის ინფრასტრუქტურული ცვლილებები ხორციელდება. სამინისტროს დაფინანსებით, დაწესებულებაში განხორციელდა ისეთი სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის მსგავსიც ინსტიტუტში დაარსების შემდეგ არ ჩატარებულა.**

**სამეცნიერო ბაზის მოწესრიგების და განახლების პარალელურად, საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში წლების განმავლობაში არსებული პრობლემები, რომელთა მოგვარებაც შესაძლებელი გახდა 2015 წლის დეკემბერში მიღებული საკანონმდებლო ცვილელების თანახმად. ცვლილებების შესაბამისად, განისაზღვრება კვლევითი ერთეულების იურიდიული სტატუსი, აღდგება კავშირი სწავლებასა და კვლევას შორის და გაძლიერდება სწავლების პროცესში კვლევითი კომპონენტის როლი.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲒ-ᲔᲜᲘ, ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

**როგორ უნდა მოექცნენ ბანკები მომხმარებლებს, რომლებიც ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარების გამო დაზარალდნენ – ამის მაგალითია „ვითიბი ბანკი აზერბაიჯანის“ ნაბიჯები, რომლებიც ბანკმა ქვეყანაში შექმნილი სავალუტო კრიზისის პირობებში, მსესხებლების დასახმარებლად გადადგა.**



# აზერბაიჯანელი ბანკირების სოლიდარობა საკუთარი მოსახლეობისადმი

მანათის მკვეთრი გაუფასურების ფონზე, ბანკმა მომხმარებელს საპროცენტო განაკვეთები და ყოველთვიური შენატანი შეუმცირა.

„ვითიბი ბანკი აზერბაიჯანის“ ამ გადაწყვეტილების ფონზე უნდა გავიხსენოთ ის, თუ როგორ მოექცნენ მოსახლეობას ქართველი ბანკირები ბოლო წლების ყველაზე მძიმე კრიზისების დროს. ქართული საბანკო სისტემის სამარცხვინოდ, ბანკების დიდმა ნაწილმა არც ლარის დევალვაციისა და მეტიც – არც აგვისტოს ომის პერიოდში – მსესხებლებს არავითარი შეღავათი არ გაუწია.

ქართულ საბანკო სისტემას გაუჭირდება იმ შავი ლაქების მოცილება, რომლებიც მას აგვისტოს ომიდან მოჰყვება, როდესაც, რუსული ოკუპაციისგან დაზარალებულ მოსახლეობას დამატებით საფრთხედ მოევლინენ საბანკო ოფიცრები, რომლებიც მათგან კრედიტების დროულ დაფარვას მოითხოვდნენ.

სხვა ფაქტების არარსებობის შემთხვევაში, მხოლოდ ერთი ფაქტი იქნებოდა საკმარისი ქართველი ბანკირების დამოკიდებულების დახასიათებისთვის: აგვისტოს ომის დროს დაღუპული ზვიად რაზმაძის ძმამ, რომლის ფოტომაც მთელი მსოფლიო მოიარა, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ველარ ისტუმრებდა ვალს, რომელიც მან და მისმა დაღუპულმა ძმამ ერთად აიღეს მცირე საქმის წამოსაწყებად.

**„1500 ლარი დამრჩა. ვალი ვალია. თუ ვერ გადავიხდი, რაც ჩავდე, იმას ბანკი გამიყიდის. ეს „ბიზნესი“ მაქვს ჩადებული. იმ ხალხს რას ვერჩი — ჩემნაირი რამდენი ჰყავთ და არავინ რომ არ გადაუხადოს, ხომ დაიღუპებიან... ველარაფერს ვაკეთებ, ეკონომიკური კრიზისია, ფული არა აქვს ხალხს და აღარაფერი იყიდება,“** — ამბობდა ზაზა რაზმაძე, რომელიც რამდენიმე ხანში უბედური შემთხვევის დროს თავადაც დაიღუპა.

2010 წელს დევნილებმა ბანკების წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს და გააპროტესტეს ის, რომ ბანკები აგვისტოს ომში დევნილადქცეული მოსახლეობისგან ომამდე აღებული კრედიტების დაფარვას და მასზე დარიცხული სოლიდური ჯარიმების გადახდას ითხოვდნენ.

ამას მოჰყვა ლარის გაუფასურება, რამაც უამრავი ოჯახი გააღარიბა. ვითარება იმდენად რთული იყო, რომ ბანკებს მომხმარებლისადმი გარკვეული ნაბიჯების გადადგმისკენ პრემიერმა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა მოუწოდეს. ქართულმა ბანკებმა ომახიანად დააანონსეს მომხმარებლისთვის „უპრეცედენტო შეღავათების“ პროგრამა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს „შეღავათი“ მხოლოდ სესხის გახანგრძლივებას გულისხმობს, რაც, როგორც თავად მსესხებლები აცხადებდნენ, მათთვის არა შეღავათს, არამედ პირობების კიდევ უფრო დამძიმებასა და კრედიტის გაძვირებას ნიშნავს.

მანამდე ბანკებს მომხმარებლების გასაჭირის გათვალისწინებისკენ პატრიარქმაც მიმართა.

თუმცა, ქართველი ბანკირები ამ მოწოდებების მიმართ შეუვალნი აღმოჩნდნენ. სოციალურ პასუხისმგებლობაზე გულისამაჩუყებლად მოსაუბრე ბანკირებმა ქვეყნისთვის ყველაზე მძიმე პერიოდში უარი თქვეს მოსახლეობისთვის საკრედიტო ტვირთის შემსუბუქებაზე.

არავინ დავობს, რომ ბიზნესში ვერც სახელმწიფო ჩაერევა და არც სხვა რაიმე სახის პასუხისმგებლობა არსებობს, რომელიც დაავალდებულებს ბანკირს, მსესხებელს სესხის პროცენტი ან ყოველთვიური შენატანი შეუმციროს — ეს მისი კეთილი ნებაა. ქართველმა ბანკირებმა კი ღიად თქვეს, რომ მათ ასეთი კეთილი ნება არ გააჩნიათ.

თუკი ქართველი ბანკირების საქციელი არის მაგალითი იმისი თუ როგორ არ უნდა იქცეოდეს პასუხისმგებლიანი ბიზნესი ქვეყანაში შექმნილი კრიზისული სიტუაციების დროს, „ვითიბი აზერბაიჯანის“ მენეჯმენტის გადაწყვეტილება არის მაგალითი, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ბანკი ასეთ დროს.

**დეტალურად გთავაზობთ იმ პირობებს, რომლებიც „ვითიბი ბანკი აზერბაიჯანმა“ მანათის გაუფასურების პირობებში შესთავაზა თავის მსესხებლებს:**

***ბანკის ინფორმაციით, მან შექმნა სპეციალური პროგრამა კლიენტებისთვის, რომლებიც საკრედიტო დავალიანების გადახდის დროს პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ბანკი კლიენტებს სთავაზობს ვალის დაფარვის სამ ვარიანტს, რაც ითვალისწინებს როგორც ყოველთვიური შენატანის, ისე საპროცენტო განაკვეთის შემცირებას.***

***საშეღავათო პროგრამის პირველი პუნქტი გათვლილია კლიენტებზე, რომლებმაც სამუშაო ან შემოსავლის ძირითადი წყარო დაკარგეს. „ვითიბი აზერბაიჯანში“ თვლიან, რომ აუცილებელია ასეთი კლიენტების მხარდაჭერა რთულ სიტუაციაში. ამ მიზნით გათვალისწინებულია ყოველთვიური შენატანის მნიშვნელოვანი შემცირება 6 თვის განმავლობაში.***

***საშეღავათო პერიოდის განმავლობაში მსესხებლებს, რომლებსაც აქვთ ავტოკრედიტი და გირაოთი უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი, ყოველთვიური შენატანის მხოლოდ 10%-ის გადახდა მოუწევთ.***

***გარდა ამისა, კლიენტებს შესთავაზებენ კრედიტების გადახდის ვადის გახანგრძლივებას 84 თვემდე, როდესაც საქმე ეხება გირაოთი უზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხებს, და 60 თვემდე დანარჩენი სესხების შემთხვევაში. თუ კლიენტი თავის დროზე დაფარავს მინიმალურ თანხას, ბანკი მას დამატებით შეღავათებს შესთავაზებს, თუკი კლიენტი 6 თვის შემდეგ ვერ შეძლებს სამუშაოს შოვნას, შესაძლოა, საშეღავათო პერიოდი კიდევ გაუხანგრძლივდეს.***

***მეორე შეთავაზებას ქვია „გადაიხადე ნაკლები, ვიდრე დევალვაციამდე“ და ის ეხება კლიენტებს, რომლებსაც კრედიტები დოლარებში აქვთ. ასეთ მომხმარებელს „ვითიბი აზერბაიჯანი“ სთავაზობს ყოველთვიური შენატანის შემცირებას 12 თვის განმავლობაში.***

***ასეთ შემთხვევაში, შემოსავლისა და საკრედიტო დავალიანების გათვალისწინებით, ყოველთვიური შენატანი შესაძლოა განახევრდეს. იგივე შეთავაზების ფარგლებში, ბანკმა ასეთ კლიენტებს კრედიტის დაფარვის ვადა შესაძლოა 60-დან 84 თვემდე გაუხანგრძლივოს.***

***ბანკი მზადაა, საპროცენტო განაკვეთი 25%-ით შეუმციროს იმ კლიენტებს, რომლებიც საშეღავათო პერიოდში კრედიტებს დროულად დაფარავენ.***

* * *

ასევე შემუშავდა საშეღავათო პირობები იმ მსესხებლებისთვის, რომლებსაც კრედიტები მანათსა და რუბლში აქვთ გამოტანილი. შემოსავლისა და დავალიანების ტვირთის გათვალისწინებით, ასეთ კლიენტებს ყოველთვიური შენატანი 30%-ით შეუმცირდებათ პირველი 12 თვის განმავლობაში და შესაძლოა ინდივიდუალური გრაფიკიც შეეთავაზოთ. კლიენტთა ეს კატეგორია ასევე ისარგებლებს სესხის გახანგრძლივებით.

„ბანკი „ვითიბი აზერბაიჯანი“ კლიენტებისადმი შემხვედრ ნაბიჯებს დგამს და მზადაა, დაეხმაროს შესაძლო სირთულეების გადალახვაში. სწორედ amიტომ შევიმუშავეთ სპეციალური პროგრამა სახელწოდებით „კლიენტის მხარდაჭერა.“ ამ პროგრამის ფარგლებში „ვითიბი აზერბაიჯანი“ მიდის მნიშვნელოვან დათმობებზე თავისი მსესხებლების მიმართ, და ეს არ ეხება მხოლოდ დოლარის კრედიტებს. ჩვენ ასევე ვთავაზობთ დავალიანების ტვირთის შემცირებას მანათისა და რუბლის მსესხებლებს. ერთად ჩვენ ყველა სირთულეს გადავლახავთ,“ — განაცხადა ბანკის ხელმძღვანელმა იური იაკოვლევმა.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანში სავალუტო კრიზისია – ერთ დღეში მანათის თითქმის 50%-იანი გაუფასურების შედეგად ქვეყანაში ვალუტის შეძენა შეიზღუდა.

**„კომერსანტი“**

## გოლიათების გვერდით

# ეკონომიკური პრობლემები ჩინეთში და საქართველო

**სულ რამდენიმე წლის წინათ ჩინეთი საკმაოდ შორ და მიუღწეველ ქვეყნად გვესახებოდა, დღეს კი ეს ქვეყანა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. 2014 წლიდან საქართველო-ჩინეთს შორის სავაჭრო ბრუნვამ 28 პროცენტით მოიმატა.** გასული წლის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად საქართველოში ქართული ღვინის მიერ ჩინეთის ბაზრის ათვისების დაწყებას მიიჩნევენ. ოფიციალური ინფორმაციით, წლის დასაწყისში დაფიქსირებული ექსპორტის მკვეთრი მატება წლის ბოლომდე შენარჩუნდა ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარზე — ჩინეთში, სადაც ქართული ღვინის ექსპორტის ზრდამ 122 %-ს მიაღწია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სულ 12 თვეში ექსპორტირებულია 2, 6 მილიონი ბოთლი. ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილი დაიმკვიდრა რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ. ამას გარდა, საქართველომ გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს, ჩინეთთან დადოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, რამაც ეს ურთიერთობები უფრო ინტენსიური უნდა გახადოს. ამ ფონზე, ცხადია, ჩინეთში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენები საქართველოსთვის უფრო და უფრო საინტერესო ხდება:



უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელი ჩინეთის ეკონომიკისთვის საკმაოდ მძიმედ დაიწყო. წლის პირველივე სამუშაო დღეს, 4 იანვარს, ჩინეთში საფონდო ინდექსების მკვეთრი ვარდნის გამო, შანხაისა და შენჩჟენის საფონდო ბირჟებზე ვაჭრობა შეჩერდა. CSI300-ის ინდექსი, რომელიც ჩინეთის 300 წამყვანი კომპანიის აქციების მაჩვენებელს ასახავს, 7 საპროცენტო პუნქტით დაეცა, რამაც ვაჭრობის ავტომატური შეჩერების სისტემა აამოქმედა. ჩინურ ბირჟებს 4 იანვარს მუშაობა აღარ განუახლებიათ. „ბიბისის“ ცნობით, ვაჭრობის ავტომატური შეჩერების სისტემა ჩინეთის საფონდო ბირჟების ისტორიაში პირველად ამოქმედდა. ექსპერტები აქციების დაცემას ჩინეთის ინდუსტრიული მაჩვენებლების დაბალ ზრდას უკავშირებენ. კერძოდ, ახალ წლამდე რამდენიმე დამოუკიდებელმა კომპანიამ გამოაქვეყნა კვლევები, რომლის თანახმად, ჩინეთში კვლავ გაგრძელდება სამრეწველო წარმოების შემცირება. ჩინურ ბირჟებზე არსებული მდგომარეობა ტოკიოს ბირჟაზეც აისახა, სადაც Nikkei-ს ინდექსი 3 %-ით შემცირდა.

2016 წელი გაუფასურებით დაიწყო ჩინურმა იუანმაც. ჩინეთის ნაციონალური ვალუტა ბოლო დროს დოლართან დამკვიდრებული ნიშნულიდან, რაც 7-ს შეადგენდა, 6.58-ზე ჩამოვიდა. ანალიტიკოსები იუანის კიდევ უფრო დასუსტებას ელოდებიან. გოლდმან საქსის პროგნოზით, იუანი წლის განმავლობაში სავალუტო კალათის მიმართ 3 %-მდე გაუფასურდება.

ჩინეთის ხელისუფლებამ ბანკებს მისცა სიტყვიერი განკარგულება, შეზღუდონ აშშ დოლარის გაყიდვა კომპანიებსა და ფიზიკურ პირებზე. ამ ინფორმაციას Financial Times საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს. ამ გზით ჩინეთი ცდილობს, კაპიტალის გადინების მზარდი ტენდენცია შეაჩეროს. ხელისუფლების განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია შანხაისა და შენჩჟენში ამერიკულ დოლარზე არსებულმა მაღალმა მოთხოვნამ. გამოცემის ინფორმაციით, შანხაის საშუალო ზომის ბანკებში წინასწარი შეკვეთის გარეშე დღეში 5 ათასი ამერიკული დოლარის შეძენაა შესაძლებელი, წინასწარი შეკვეთით კი — ათი ათასის. კვირაში მხოლოდ სამი შეკვეთის გაკეთებაა შესაძლებელი. ჩინეთში უცხოური ვალუტის შეძენა ისედაც შეზღუდულია: ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ, წელიწადში მხოლოდ 50 ათასი დოლარი იყიდონ.

ცხადია, ამ ეტაპზე ჩინეთი საქართველოს ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს არ თამაშობს და ნაკლებად სავარაუდოა ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ისეთ პატარა ქვეყანაზე, როგორიც საქართველოა, უახლოეს პერიოდში განსაკუთრებულად აისახოს, თუმცა, ზოგადად, მსოფლიო ბაზრებზე ამ მოვლენებმა თავისი უარყოფითი ასახვა უკვე პოვა.

**ნინო ევგენიძე,**
**რადიო „თავისუფლება“**



# თუ ჩინური წყევლასავით არ მოგვიბრუნდება...

## წავიდა, მოვიდა ახალი წელი

...მოდით, ერთად გადავხედოთ გასული 2015-ის ბოლო თვეში მომხდარ მოვლენებს, რადგანაც ის პროცესები, რაც წლის ბოლოს განვითარდა, ის გამონათქვამები და შეფასებები, რაც ქართველ პოლიტიკოსებს, თუ პოლიტიკას **მიტმასნილ „ექსპერტებს“** ეკუთვნით, საშუალებას გვაძლევს საარჩევნო 2016-ს საკმაოდ მომზადებულნი შევხვდეთ.

დეკემბრის პირველივე რიცხვებში დაიწყო თოვლის პაპასთან გასაგზავნი წერილების წერა. იყო უამრავი სურვილი, ნატვრა, თხოვნა, მოთხოვნაც კი. მათგან მინდა ერთი წერილი შემოგთავაზოთ. წერილი, რომელიც ზუსტად აღწერს ქართულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას: **თოვლის პაპა, შენ დასაქმებას, ლარის კურსს, ეკონომიკას, პოლიტიკურ სიტუაციას და ეგეთ რაღაცებს ვერ მიხედავ და ერთი კარგი მარცხენასაჭიანი მანქანა მაჩუქე (გაზზე) და ტაქსის ტრაფარეტს მე თვითონ ვიშოვი.**

ვინმე სკეპტიკოსი და დღევანდელი ხელისუფლების თავგადაკლული მეხოტბე, წერილის ავტორს, ალბათ, შეედავება: რადგანაც საკუთარი ტაქსი გინდა, ე.ი. ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა, ხალხი ისე მდიდარია, რომ ტაქსის მძღოლობით ფულის შოვნაც შეიძლებაო.

არა პატივცემულო მეოცნებევ. არა და არა! თავს ნებას მივცემ და შეგეკითხები: — ბოლოს როდის იმგზავრე ტაქსით?

შემდეგი სურვილები ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა და ე.წ. ლიბერასტ-ევროპელთა მხრიდან იყო.

აღმოჩნდა, რომ თურმე ვინმე მეგი გოცირიძეს იმიტომ არ სძინავს, რომ **„როცა გაიღვიძებს, მოსკოვის გარეუბანში არ აღმოჩნდეს“**. მდააა, რთული შემთხვევაა. იმდენად რთული, რომ როცა ამ „ძილგამფრთხალ“ ქალბატონს თავის ლიბერასტ თანამოაზრეებთან, „მაიკო“ ასათიანთან, ია ფარულავასთან და სხვა ნაქ-ქალებთან ერთად რომ ვუყურებ, ვრწმუნდები — ფროიდი ნამდვილად დიდი მეცნიერია.

ძალიან საინტერესო იყო „რუსთავი-2“-ის მხრიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და, საერთოდ, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის 8 დეკემბერს განახლება.

გიორგი გაბუნიამ (ჯულიეტოვნამ) „არჩევანში“ თავის სტუმრებთან ერთად გაილაშქრა პატრიარქისა და ეკლესიის წინააღმდეგ, რისი ლოგიკური გაგრძელება რატი ამაღლობელის „პიეტასა“ და გიგი თევზაძის განცხადებებში **(„არ გეწყინოთ, მაგრამ დღეს, საქართველოში შობის აღნიშვნა არის ოკუპანტების მხარდაჭერა და კიდევ ერთი ნაბიჯი დამოუკიდებლობის დაკარგვისკენ“ 07.01.2016)** „გასხივოსნდა“.

„რუსთავი-2“-ის მუდმივი სტუმრების, ე.წ. პოეტების და ფილოსოფოსების მხრიდან დემოკრატიის და მართლმადიდებლობის დაპირისპირების მცდელობა („მართლმადიდებლობა ახშობს დემოკრატიას და დასავლურ ფასეულობებს“, „არის ბნელი შუა საუკუნეობრივი აზროვნება“ დ.ა.შ.), თავის მიზანს აღწევს. ხალხი დემოკრატიის წინააღმდეგ გაილაშქრებს, რაც ე.წ. „დონორებისგან“ ფულის მოზიდვის საუკეთესო საშუალებაა. ასეთ ფულს კიდევ სხვა რამეც, მაგალითად, აშკარა კონფრონტაცია შეიძლება მოჰყვეს, რაც ნაცების საბოლოო მიზანს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ნაცებს საკმაოდ სერიოზული პიარ-მრჩეველები ჰყავს, ისინი უპირისპირდებიან ინსტიტუციას, რომელსაც საქართველოს მოსახლეობაში უპირობოდ ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს (თუ არ ვცდები 94 %). უპირისპირდებიან და თანაც ისეთი ხალხის მეშვეობით, რომლებიც საზოგადოებაში რბილად რომ ვთქვა, მაინცადამაინც პოპულარულები არ არიან.

გაჩნდა შეკითხვა: რატომ დაუშვეს ასეთი შეცდომა?

1. შემსრულებლებმა ეს ყველაფერი ძალიან კარგად იციან, მაგრამ მათთვის იმდენად მნიშვნელოვანია ფული, რომ მზად არიან რეიტინგის გარკვეული პროცენტები შესწირონ. ამ ფულს ისინი ჩვეულებრივად იღებენ როგორც ნაციონალური მოძრაობისგან, რომლებსაც მსგავსი ეპატაჟით საქართველოს მოსახლეობაში დესტაბილიზაციის შეტანა უნდათ, ასევე ე.წ. არასამთავრობოებისგან და სხვა რელიგიური კონფესიებისგან.

2. სააკაშვილის საუბრების ფარული ჩანაწერების გასაჯაროების შემდეგ, რუსთავი 2-ის დამოკიდებულება მიხეილ სააკაშვილის მიმართ შეიცვალა, რაც საკმაოდ ნათლად გამოჩნდა დაწყებული „ვანოს და კომედი შოუებიდან“, დამთავრებული სხვადასხვა სიუჟეტებით. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეკლესიასთან დაპირისპირება და უაზრო განცხადებები დემოკრატიაზე, ხალხის გასაბრაზებლად ძალიან „კარგი“ თემაა. რისხვა კი საბოლოოდ ხელისუფლებისკენ მიდის. აი ეს უნდათ ნაცებს.

3. ხელისუფლებას მსგავსი განცხადებებით „მაგარი სატოპკე აქვს აწეული“ და სწორი პიარის შემთხვევაში თავისუფლად შეიძლება, რომ აიკიდოს მსგავსად, ნაცებს მიუტრიალონ. მაგრამ ეს მხოლოდ სწორი პიარის შემთხვევაში!

რაც შეეხება რატი ამაღლობელის ე.წ. პიეტას, მის შესახებაც გამოითქვა აბსოლუტურად განსხვავებული მოსაზრებები. ზოგი აკრიტიკებდა, ზოგი ლანძღავდა, ზოგიც იცავდა. მე კი უბრალოდ ვიტყვი, რომ **ტყუილად ლანძღავთ რატი ამაღლობელს.**

**ტყუილად ლანძღავთ, რადგანაც მან ძალიან კარგად გვაჩვენა კონფორმიზმის უსაზიზღრესი ფორმა. გვაჩვენა, თუ როგორი არ უნდა იყოს არა მხოლოდ პოეტი, არამედ გვაჩვენა, თუ როგორი არ უნდა იყოს ადამიანი.**

მან თავის თავზე აიღო იმ ბერძენი მონის მისია, რომელსაც ათრობდნენ და შემდეგ ბავშვებს აჩვენებდნენ, რათა ენახათ, თუ რა ცუდია სიმთვრალე.

**გაუმარჯოს ქართველ მონას — რატი ამაღლობელს!**

18 დეკემბერს საქართველომ ევროპაში ვიზალიბერალიზაციისკენ ბოლო ნაბიჯი გადადგა. დამერწმუნეთ, რომ ეს ფაქტი ნამდვილად ღირსშესანიშნავი მოვლენაა, მაგრამ...

და, როგორც ყოველთვის, ეს წყეული „მაგრამ“!

დარწმუნებული ვარ, რომ პირველი, რაც ეიფორიის გავლის შემდეგ ნებისმიერ საშუალო შეძლების ქართველს მოუვიდოდა თავში, იქნებოდა შეკითხვა: ევროპაში წასვლა კარგია, მაგრამ რა ჩემი „შაშა და კოლათი“ უნდა წავიდე, მაშინ როცა მიუნხენში კი არა, ზესტაფონში ვერ ჩავსულვარ ნათესავის დაკრძალვაზე? ეჰ, ვინც აქამდე დადიოდა, ისევ ისინი წავლენ. ჩვენ კი გადავუღოთ სურათი იმ დოკუმენტს და სამზარეულოში ჭერიდან ჩამოსული წყლისგან გაჩენილ ბზარს მივაკიდოთ. არადა, თუ სწორად მახსოვს, უვიზო მიმოსვლა ბრაზილიასთან, არგენტინასთან დ.ა.შ. ქვეყნებთან უკვე გვქონდა. ძმურად გთხოვთ, მითხარით, რამდენმა ისარგებლეთ ამ „სიკეთით“?

**ევროპაში წასვლა კარგია, მაგრამ რა ჩემი „შაშა და კოლათი“ უნდა წავიდე, მაშინ როცა მიუნხენში კი არა, ზესტაფონში ვერ ჩავსულვარ ნათესავის დაკრძალვაზე?**

და წლის ორი სენსაცია: ლევან მურუსიძის არჩევა და ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომა.

ორივე მოვლენა ნამდვილად სენსაციური იყო. სენსაციური იყო აბსოლუტური არაადეკვატურობით.

ლევან მურუსიძის ე.წ. „არჩევამ“ რამდენიმე საჭირბოროტო და, შეიძლება ითქვას, ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს გაუსვა ხაზი. კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ **იუსტიციის საბჭო, მარეგულირებელი კომისიები, ეროვნული ბანკი და საერთოდ საბანკო სექტორი, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი სტრუქტურები ყოფილან.**

**მათს საქმიანობაში ჩარევის უფლება არც აქვს არა ხალხს და არც სახელმწიფო ორგანოებს.**

უკაცრავად, მაგრამ ვერ გავიგე, რას ნიშნავს ასეთი პოზიცია?

ე.ი. გვაქვს რამდენიმე „სახელმწიფო“ სახელმწიფოში.

ეს ე.წ. სტრუქტურები არ ემორჩილებიან და, ფაქტობრივად, ხალხის ნების წინააღმდეგ მიდიან.

კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოში პოლიტიკური სპექტრი და ხალხი აბსოლუტურად სხვადასხვა განზომილებაში იმყოფებიან.

პოლიტიკურ სპექტრს საერთოდ იგნორირებული ჰყავს მოსახლეობა და მხოლოდ სპეკულაციური და მოკლევადიანი პოპულიზმისთვის იყენებს ხალხის მოთხოვნებს.

ქართველმა „პოლიტიკანებმა“ მიაღწიეს თავიანთ მთავარ მიზანს. მათ ხალხისგან განდგომით, მოსახლეობასთან მიმართებაში „არისტოკრატ-ლუპმენის“ დამოკიდებულების დამყარებით გამოიწვიეს საზოგადოების ინერტულობა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი მოსახლეობის ინფანტილური დამოკიდებულება.

**ხალხმა უარი უნდა თქვას დღეს არსებულ სრულ პოლიტიკურ სპექტრზე, უარი უნდა თქვას ყველა პოლიტიკანურ ორგანიზაციაზე და თავის ხელში აიღოს რეალური ძალაუფლება. თავის ხელში აიღოს თავისი მომავლის განსაზღვრა, რადგანაც ირღვევა საქართველოს უმაღლესი კანონის — კონსტიტუციის მეხუთე მუხლი, სადაც წერია, რომ:**

**1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.**

**2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.**

**3. არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.**

კონსტიტუციის, როგორც უმაღლესი კანონის შესრულება ჩვენი, ანუ ხალხის გადასაწყვეტია და სხვა არავისი!!!

შეიძლება ეს განცხადება ჩაითვალოს რევოლუციისკენ მოწოდებად!

დაე ასეც იყოს!

მათ მოინდომეს რევოლუცია და უნდა მიიღონ კიდეც!

რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას: ამ გადაწყვეტილებამ საკმაოდ სერიოზული დაბნეულობა გამოიწვია როგორც საზოგადოებაში, ასევე პოლიტიკურ სპექტრში, რადგანაც ასეთი ნაბიჯის წინაწარ განჭვრეტა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. ნაციონალებს და მათ სატელიტებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულ სტილში აგრძელებენ განცხადებების კეთებას და დამატებით იმასაც აცხადებენ, ჩვენ ამ ცვლილების შესახებ რამდენიმე დღით ადრე ვიცოდითო, აშკარად ეტყობათ შეშფოთება. ეტყობათ, რადგანაც პრემიერ-მინისტრის გადადგომა ბუნებრივად იწვევს არა მხოლოდ სახელისუფლებო ვერტიკალის ცვლილებებს, არამედ საშინაო პოლიტიკური პროცესებთან ხელისუფლების დამოკიდებულების სხვა ჭრილში გადაყვანას, რაც პირველ რიგში საქართველოს საგარეო ურთიერთობებში პოზიტიურად გადადგმული ნაბიჯების შედეგია. სწორედ ეს ახალი გამოწვევებია შიდა პოლიტიკის სხვა რელსებზე გადაყვანის მთავარი მიზეზი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ამ ყველაფერს ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის დროს მიაღწია, მისი გადადგომა აბსოლუტურად გამართლებულია, რადგანაც უხეშად რომ ვთქვა, ახლო მომავალში ხელისუფლების მიერ გადასადგმელი მრავალი მკვეთრი ცვლილება სხვამ უნდა განახორციელოს.

ირაკლი ღარიბაშვილს სიხისტე ნამდვილად არ აკლდა, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ის თავად კოალიციაში შემავალი ე.წ. „ლიბერალური“ ფრთისგან, საკმაოდ დიდ ზეწოლას განიცდიდა.

აქ შეიძლება ვისაუბროთ ფსიქოლოგიურ თუ სხვა ფაქტორებზე, რისგანაც ახალი პრემიერი თავისუფალი იქნება, მაგრამ ამ ნაბიჯის მთავარი აზრი, საშინაო პოლიტიკის უფრო მკაცრად განხორციელების, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის სტილში განხორციელების მიზანია.

პირადად ჩემი მოლოდინი არის ის, რომ მმართველი გუნდი დაიწყებს ბალასტისგან და საბოტაჟნიკებისგან გათავისუფლებას, რაც ცხადია, რომ საპარლამენტო არჩევნებზე თავის შედეგს გამოიღებს.

ასევე ძალიან საინტერესო იქნება, თუ ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკურ ორგანიზაციას შექმნის (ეს მოსაზრება დააფიქსირა ბიძინა ივანიშვილმა გადაცემა 20/30-ში). საინტერესო იქნება, რადგანაც მივიღებთ პოლიტიკური ცხოვრების აბსოლუტურად განსხვავებულ მოდელს. ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკური ორგანიზაცია, ფაქტობრივად, ჩაანაცვლებს უკვე დამყაყებულ სპექტრს. სპექტრს, რომელიც საზოგადოებას ყელში ამოუვიდა. ის თავისი ხისტი განცხადებებით გაახმიანებს საზოგადოების ნებას, რომელიც ე.წ. აგრესიული ნეოლიბერალიზმის წინააღმდეგაა მიმართული, ხოლო ხელისუფლება იქნება დამბალანსებლის როლში.

მოკლედ რომ ვთქვა, წინ საკმაოდ რთული, დაძაბული და მოლოდინებით აღსავსე წელიწადი გველოდება. გველოდება, რადგანაც ბოლო დღეებში გაკეთებული განცხადებები მმართველი კოალიცის ძირეული გადახალისების შესახებ, უკვე იწვევს ბალასტის ფუთფუთს და მუდამ ტივტივის გარემოში დარჩენის სურვილს. ასეთ დროს კი ხალხმა შეიძლება საკმაოდ მოკლე დროში მიიღოს იმ დაპირებების ნაწილობრივი ასრულება, რომლებსაც ჩვენი „ხელისუფლება“ თუ „ოპოზიცია“ უხვად იძლეოდნენ და რომლებიც 2012 წლის 2 ოქტომბერს სარდაფებში ჩაკეტეს.

საინტერესო პროცესები გველოდება წინ და იმედი მაქვს, რომ „საინტერესო დროში ცხოვრება“, ჩინური წყევლასავით არ მოგვიბრუნდება.

ჩვენ კი მხოლოდ ერთი გამოსავალი გვაქვს: აქტიურად ჩავერთოთ პროცესების განვითარებაში, ვიმოქმედოთ თანამიმდევრულად და ყველაფერი კარგად იქნება.

**გია გაბრიჭიძე**

◉ რა ხდება?

# საქართველოს საკითხი „რადარებიდან“ ქრება?

## რატომ არ ახსენა ბარაკ ობამამ საქართველო

**აშშ-ის მსოფლიო ლიდერობაზე, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებსა და რუსეთის დესტრუქციულ როლზე ლაპარაკისას, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 12 იანვარს, კონგრესის წინაშე გამოსვლისას, პარტნიორი ქვეყნების დახმარების აუცილებლობაზეც გაამახვილა ყურადღება. პრეზიდენტ ობამას არ უხსენებია საქართველო და ანალიტიკოსების დიდი ნაწილი ამას არც მოელოდა, მაგრამ, რადგანაც მის გამოსვლაში რამდენიმე ადგილას (სხვადასხვა კონტექსტში) ნახსენები იყო უკრაინა, ზოგიერთმა ექსპერტმა იქვე საქართველოს ხსენების საჭიროებაც დაინახა. არის თუ არა ეს კიდევ ერთი ნიშანი საერთაშორისო დღის წესრიგიდან საქართველოს საკითხის გაქრობისა, რის გარშემო დისკუსიაც გასული წლის სექტემბრის ბოლოს გაეროს გენასამბლეის სესიის ფარგლებშიც გააქტიურდა?**



Courtesy Photo

**„ამერიკის შეერთებული შტატები ყველაზე ძლევამოსილი სახელმწიფოა დედამიწაზე. შეიარაღებულ ძალებზე ჩვენ ვხარჯავთ მეტს, ვიდრე შემდეგი რვა ქვეყანა, ერთად აღებული. ჩვენი შეიარაღებული ძალები საუკეთესოა მსოფლიოს ისტორიაში. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაბედავს თავდასხმას ჩვენზე ან ჩვენს მოკავშირეებზე, რადგანაც იციან, რომ ეს იქნება გზა დაღუპვისკენ“,** — განაცხადა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სამშაბათს, როცა ის აშშ-ის კონგრესის წინაშე ბოლო, შემაჯამებელი, სიტყვით წარსდგა. პრეზიდენტი ამაყია, რომ, გამოკვლევების თანახმად, მის ხელში შეერთებულმა შტატებმა, როგორც ლიდერმა მსოფლიოში, კიდევ უფრო აქტიური პოზიციები მოიპოვა და, თუკი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხია გადასაწყვეტი, ყველა იყურება ამერიკისკენ და არა რუსეთის ან ჩინეთისკენ.

ძირითად პრიორიტეტად ბარაკ ობამა ამერიკელი ხალხის დაცვასა და ტერორიზმთან ბრძოლას ასახელებს, საგარეო დახმარებას კი ის განიხილავს არა გულმოწყალებად, არამედ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ნაწილად. **„როცა ჩვენ ვეხმარებით უკრაინის დემოკრატიას ანდა კოლუმბიას მრავალწლიანი ომის პრობლემის მოგვარებაში, ეს აძლიერებს საერთაშორისო წესრიგს, რაზეც ჩვენც ვართ დამოკიდებული. როცა ჩვენ ვეხმარებით აფრიკის ქვეყნებს თავიანთი ხალხის დაპურებასა და ავადმყოფების მკურნალობაში, ეს არის პრევენცია იმისათვის, რომ მომდევნო პანდემიამ ვეღარ მოაღწიოს ჩვენს სანაპირომდე“,** — მაგალითად, ერთგან ასე განაცხადა პრეზიდენტმა ობამამ და უკრაინა თავის გამოსვლაში სხვაგანაც ახსენა, ამჯერად სირიასთან ერთად, რუსეთის მიერ ზეგავლენის სფეროების შენარჩუნების კონტექსტში:

**„იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკა უმცირდება, რუსეთი მაინც განაგრძობს რესურსების ხარჯვას უკრაინასა და სირიაში, რომლებიც რუსეთის თვალწინ გადიან მისი ორბიტიდან“.**

იქ, სადაც უკრაინა ახსენა, ბარაკ ობამას აუცილებლად უნდა ეხსენებინა საქართველოც, — უთხრა რადიო „თავისუფლებას“ საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა ნიკა ჩიტაძემ. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ, ასეთი მოლოდინის თვალსაზრისით, ის უმცირესობაში აღმოჩნდა:

**„ჩვენ აუცილებლად უნდა ვეხსენებინეთ, ბუნებრივია, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ამერიკას აქვს თავისი გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, გეოსტრატეგიული ინტერესები საქართველოში და სამხრეთ კავკასიის რეგიონში. საქართველო უშუალოდ ესაზღვრება რუსეთს და მდებარეობს ძალზე ახლოს ირანთან, ანუ ამერიკის მთავარ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან — მით უმეტეს, როდესაც საქართველო იმყოფება ომის მდგომარეობაში რუსეთთან“.**

იმის გამო, რომ რუსეთ-საქართველოს ომის მწვავე ფაზა უკვე გასულია, ბარაკ ობამასგან,კონგრესში გამოსვლისას საქართველოს ხსენებას არც მოელოდა „ევროპული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი კახა გოგოლაშვილი. ანალიტიკოსისთვის ცხადია, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ყურადღება მხოლოდ მწვავე საკითხებზე გაამახვილა და ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო უმნიშვნელოა სტრატეგიული პარტნიორისთვის — შეერთებულ შტატებისთვის.

**„სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირების საკითხი ჩამცხრალია და მისი აქტუალობა, ასე ვთქვათ, მთლიანობაში, ახლა იმდენად მნიშვნელოვანი აღარ არის საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. ბევრად უფრო აქტუალური გახდა უკრაინა, იმიტომ რომ უკრაინის საკითხი უკავშირდება მთელი რეგიონის სტაბილურობას... და სირიას, რა თქმა უნდა, რომელიც გლობალური სტაბილურობის საკითხია“,** — უთხრა რადიო „თავისუფლებას“ კახა გოგოლაშვილმა.

იმის მიუხედავად, რომ, კახა გოგოლაშვილის დაკვირვებით, საქართველოს საკითხი უკვე კარგა ხანია თანდათან სუსტდება საერთაშორისო დღის წესრიგში და საერთაშორისო „რადარებიდან“ გაქრობის შიშსაც აქვს თავისი საფუძველი, როგორც ანალიტიკოსი აღნიშნავს რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას, რაც უფრო მწვავდება ვითარება საერთაშორისო ასპარეზზე, მით უფრო ძნელდება საქართველოს საკითხისთვის აქტუალურობის შენარჩუნება.

თსუ-ს ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელის ვასილ კაჭარავასთვისაც ნათელია, რომ პრეზიდენტმა ობამამ სამშაბათის გამოსვლაში მხოლოდ ცხელი წერტილები ახსენა, სადაც რუსეთის აგრესია მწვავე ფაზაშია და, შესაბამისად, მათ რიცხვში ვერ მოხვდა საქართველო, მაგრამ ანალიტიკოსი მაინც თვლის, რომ საერთაშორისო დისკუსიებში საქართველოს საკითხის შესანარჩუნებლად ქართულ დიპლომატიას უფრო მეტად გააქტიურება მართებს, რადგანაც რუსეთი მიზანმიმართულად ახორციელებს თავის გეგმებს და გრძელდება რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.

დისკუსია საერთაშორისო „რადარებიდან“ საქართველოს საკითხის გაქრობის თაობაზე გასული წლის შემოდგომაზე მას შემდეგ გააქტიურდა, რაც 28 სექტემბერს, გაეროს გენასამბლეის 70-ე სესიაზე გამოსვლისას, პრეზიდენტმა ობამამ არ ახსენა საქართველო, როცა მან უკრაინის პრობლემატიკასა და რუსეთის აგრესიაზე ილაპარაკა. ანალიტიკოსების ერთმა ნაწილმა ეს ყველაფერი მაშინ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პოლიტიკას — რუსეთთან ურთიერთობის დალაგების მცდელობას — დააბრალა. მათი ლოგიკით, როცა ხელისუფლება ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლებად გააღიზიანოს რუსეთი, არ კეთდება მწვავე განცხადებები მოსკოვის აგრესიულ პოლიტიკასთან მიმართებით. შესაბამისად, საქართველოს პრობლემატიკაც თანდათან ფერმკრთალდება საერთაშორისო დღის წესრიგში.

საქართველოს პრობლემატიკის „რადარებიდან გაქრობის“ შესახებ შეფასება პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საგარეო ურთიერთობათა საბჭოში გამართულ შეხვედრაზე გააკეთა მას შემდეგ, რაც მასპინძელმა მოდერატორმა (ანალიტიკოსმა ტომას გრემმა) თითქმის იგივე თქვა თავის შესავალ სიტყვაში. ამ ფაქტების კვალდაკვალ საქართველოს თემატიკის გააქტუალურების პირობა დადო ასევე ნიუ-იორკში მყოფმა იმხანად საგარეო საქმეთა მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა, რომელიც აწ უკვე საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებს.

**„მინდა, გამოვთქვა მზადყოფნა, რომ ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტის დღის წესრიგში საქართველოს პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გავხადო. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი და ძალიან შრომატევადი სამუშაო იქნება ჩასატარებელი იმისათვის, რომ საქართველო იყოს აქტუალური ყველა საერთაშორისო პლატფორმაზე. ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საკითხი უნდა იყოს ყველა რადარზე და ყველა პლატფორმაზე წარმოდგენილი“,** — განაცხადა მაშინ გიორგი კვირიკაშვილმა.

**ლელა კუნჭულია**

◉ ისტორიის ნამცვრევები

# ადამიანებთან ერთად იღუპებოდა საკანში წლობით გამოკეტილი...

**არაერთგზის გვსმენია, რომ XX ს. 30-40-იან წლებში პოლიტიკური ანეკდოტის მოყოლისთვის ადამიანებს ციხეში სვამდნენ.**

**მაგრამ ის საბედისწერო ანეკდოტები მხოლოდ საბრალდებო საქმეთა ჩაყვითლებულმა ფურცლებმა შემოინახა, ამდენად ყოველ მოკვდავს როდი ძალუძს მათი მოძიება და საკუთარი თვალით წაკითხვა, იმის დასაგემოვნებლად, თუ რამდენად მახვილად აფასებდა მაშინდელი საზოგადოება რეალობას, ამას წინათ მომეცა ამის საშუალება.**



1935 წლის სექტემბერში აქტიუბინსკის ოლქის ნოვოროსიისკის რაიონში ვინმე ტიშჩენკომ რამდენიმე მეგობარს ანეკდოტი უამბო:

**„ერთმა ქალიშვილმა, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კარგი აღზრდა და განათლება მიიღო, მოისურვა გამორჩეულად ჭკვიანი ბავშვი ჰყოლოდა და განცხადებით მიმართა ამხ. სტალინს, მინდა შენგან შვილი გავაჩინოო. ამხ. სტალინმა ეს განცხადება უყურადღებოდ წაიკითხა და ამხ. მოლოტოვს გადაუგზავნა. ამხ. მოლოტოვმაც თავის მხრივ ასევე უყურადღებოდ წაიკითხა და პირად მდივანს დააწერა რეზოლუციით „შესასრულებლად“.**

მსმენელებმა გადაიხარხარეს და ერთმანეთისგან მალულად უმალ ჩეკაში გაცვივდნენ დასასმენად. ტიშჩენკომ უკვე 14 ოქტომბერს საკანში ამოყო თავი. ჩეკისტებმა სულ წვრილად გამოიკვლიეს, სად, როგორ, ვისთანც და ვისი წაქეზებით ჩაიდინა მან ასეთი ბოროტი ანტისაბჭოთა ქმედება — ბელადების დისკრედიტაციის მცდელობა.

გამოძიება დიდხანს არ გაგრძელებულა (ან რა იყო გამოსაძიებელი) და უკვე 1936 წლის 13 იანვარს ტიშენკოს სულ ერთი წლით ციხეში ჯდომა მიუსაჯეს. მაგრამ ეს „სულ“ 1 წლით ჯდომა — ფიქცია გამოდგა.

საქმე ის არის, რომ მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით წაუყენეს.

სისხლის სამართლის კოდექსის მოგვიანო რედაქციაში ეს არის „პროპაგანდა ან აგიტაცია, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის, ძირის გამოთხრის, შესუსტების ან ცალკეული კონტრრევოლუციური დანაშაულების ჩადენის მოწოდებას“. სისხლის სამართლის კოდექსის იმ დროის რედაქციაში, რომელზეც ლაპარაკია, ეს უკვე არის „შპიონაჟი, ანუ სხვებისთვის გადასაცემად ცნობების გატაცება ან შეგროვება, რომლებიც თავისი შინაარსით ორგანიზაციებში ან კერძო პირებთან სპეციალურად დაცულ სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს“.

1936 წ. ამ სტატიით უსჯიდნენ არა უმეტეს სამი წლით მკაცრ იზოლაციას ან დახვრეტას. ასე რომ, ჩვენი მეანეკდოტე 1936 წლის იანვარში მხოლოდ 1 წელს ბანაკში ჯდომას ვერანაირად ვერ მიიღებდა, სულ ცოტა — 10 წელს!

ასე რომ, ანეკდოტის მოყოლა არანაკლებ საშიში იყო, ვიდრე რომელიმე არარსებული იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრობა.

წარმოგიდგენთ „საქმეებიდან“ ამოკრებილ ანეკდოტებს.

● **დედაბერი, რომელმაც პირველად ნახა აქლემი, ატირდა. როცა ჰკითხეს, რა გატირებსო, ამოისლუკუნა: „ეს სანამდე მიიყვანა საბჭოთა ხელისუფლებამ ცხენი“.**

● **„სტალინმა და მოლოტოვმა თვითმფრინავით მოსკოვს გადაუფრინეს. მაღაზიებთან ფქვილსა და შაქარზე უგრძესი რიგები დაინახეს. მოლოტოვმა სტალინს უთხრა, ახლა რომ ამ ხალხს თითო ტომარა ფქვილი და შაქარი ჩაუყარო, სიხარულით ფეხებს დაგიკოცნიანო. ამის გამგონე პილოტმა უმალ დააზუსტა, ახლა ორივენი თვითმფრინავიდან რომ გისროლოთ, ხალხი მთლიანად თავიდან ფეხებამდე დაგკოცნიდათო.**

● **იალტის კონფერენციაზე რუსებმა საზეიმო სადილი გამართეს. სადილის შემდეგ უცხოელებმა — ინგლისელებმა და ამერიკელებმა, მადლობა გადაუხადეს ჩაისთვის. რატომ მხოლოდ ჩაისთვისო, ჰკითხეს: იმიტომ რომ ყველა დანარჩენი პროდუქტი ჩვენი იყოო.**

● **ერთდროულად გარდაიცვალა ორი ინჟინერი — რუსი და ამერიკელი. გვამები გაკვეთეს. ამერიკელი ინჟინრის თავში იპოვეს გეგმები, კუჭში კი ჩაშუშული ღორის ხორცის კონსერვი, რუსის ცხედარში პირიქით იყო: თავში — კონსერვი, კუჭში — გეგმები.**

ასე და ამგვარად, თავის დროზე მახვილი სიტყვაც იბრძოდა, ოღონდ, ადამიანებთან ერთად საკანში წლებით გამოკეტილი იღუპებოდა.

მოამზადა
**ალეკო ასლანიშვილმა**

◉ ამერ-იმერი

## საფრანგეთი საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზის მიღების ვადას ამცირებს

**Elbucare.fr-ის ინფორმაციით, შესაბამისი განცხადება საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორან ფაბიუსმა გააკეთა.**

**საქართველოსთან ერთად ვიზის მიღების ვადა შეუმცირდებათ სომხეთის, თურქეთის, ვიეტნამის და ინდონეზიის მოქალაქეებს.**

**ამ ქვეყნების მოქალაქეები ტურისტულ ვიზას 48 საათში მიიღებენ. თუმცა, ჟერჟერობით უცნობია, როდის შევა გადაწყვეტილება ძალაში. სიახლეს საფრანგეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას უკავშირებს.**

მედიანიუსი

# ვადის გაგრძელება ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

### აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი

**კრედიტის/სესხის №** IDA5245-GE; IBRD 8263-GE
**პროექტის N** P130413

**დავალების სახელწოდება**: E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის (ნატახტარი-რუისის დასრულებულ მონაკვეთზე) გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებების სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განსახორციელება.
**კონტრაქტი/ RFP #** EWHIP-4/CS/CQS-04
**საიდენტიფიკაციო #** EWHIP-4/CS/CQS-04

საქართველომ მსოფლიო ბანკს მიმართა **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული მომსახურების გასაწევად ინტერესის გამოხატვისთვის იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების („მომსახურება”) გასაწევად: **E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის (ნატახტარი-რუისის დასრულებულ მონაკვეთზე) გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებების სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება.**

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 5 თვე, რასაც ემატება 24 თვიანი დეფექტების გამოსწორების პერიოდი. დეფექტების გამოსწორების 2 წლიანი პერიოდის განმავლობაში კონსულტანტი უმუშავებს არასრული დატვირთვით, რათა უზრუნველყოს განხორციელებული სამუშაოების ხარისხის შენარჩუნება და ახალი ნარგავების სათანადო მოვლა–შენახვა.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფაილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში. ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნეს იმ თანამშრომელთა მოკლე შრომითი ბიოგრაფიები (CV), რომლებიც შემოთავაზებულია დავალების შესასრულებლად და გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]” (2011 წლის იანვრის გამოცემა, “კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები”) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას 1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტი შერჩეული იქნება შემდეგი საკვალიფიკაციო კრიტერიმების მიხედვით:

- ფირმის ზოგადი გამიცდილება:
- ფირმის სპეციფიური გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში მშენებლობის/რეაბილიტაციის სამუშაოების ზედამხედველობაში (დავალებები დასრულებული 2011 წელს ან მას შემდეგ).

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 20 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შეჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში. წარმოდგენილი ინტერესთა გამოხატვების საფუძველზე, შედგენილი იქნება მოკლე სია და ყველაზე მაღალი შეფასების მქონე კონსულტანტს ეთხოვება ტექნიკური და ფინანსური წინადადების წარმოდგენა.

კონსულტანტის შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

დაინტერესებულ კონსულტანტებს უნდა გააჩნდეს გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებების სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განსახორციელების გამოცდილება.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2016 წლის 22 იანვრის 17:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების დეპარტამენტის უფროსი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# Extension of Period for Expressions of Interest

**Georgia**

## Forth East-West Highway Improvement Project

**Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE**
**Project No.** P130413

**Assignment Title:** Supervision and Quality Assurance Services for Environmental Improvement Measures along completed section on the existing E-60 Highway, between Natakhtari and Ruisi
**Contract/RFP No:** EWHIP-4/CS/CQS-04
**Reference No.** EWHIP-4/CS/CQS-04

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Forth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Supervision and Quality Assurance Services for Environmental Improvement Measures along completed section on the existing E-60 Highway, between Natakhtari and Ruisi"**.

Estimated duration of assignment is 5 months (plus 24-month period when the Consultant effort will be focusing only on the improvement of defects during the defect liability period). During the 2-year defect liability period, the Consultant will continue working on a part-time basis to assure quality of activities performed to meet outstanding liabilities and adequacy of maintenance of the young tree plantations.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile. They shall include brief CVs of the personnel, who are proposed for the assignment to confirm they have relevant qualification and experience.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (**Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association**) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The Consultant will be selected using the following evaluation criteria:

General Experience of the firm;
Similar experience in Supervision of Construction/rehabilitation Assignments during last 5 years (assignments completed in or after 2011);

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 20 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 20 pages.

A consultant will be selected in accordance with the "Consultant's Qualification Selection" procedures set out in World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers , January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines"). On the basis of submitted Expressions of Interest, a short-list will be established and highest ranked consultant will be requested to submit technical and financial proposal.

**Required Qualification of the Consultant:**
The Consultant must have experience in Supervision and Quality Assurance Services for Environmental Improvement Measures.

Interested consultants may obtain further information at the address: i

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **January 22, 2016, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

საქმე №1/199-2015

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

11 იანვარი 2016 წელი — ქ. თბილისი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“**
**საარბიტრაჟო მოპასუხე: თორნიკე ნათელაშვილი**

**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია**

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 24 დეკემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე თორნიკე ნათელაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 10 ოქტომბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და თორნიკე ნათელაშვილს შორის დაიდო №101413820 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1300 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა-ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხის და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: მაზდა ატენზა; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2003; ტიპი: უნივერსალი; ფერი: ლურჯი 6/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №GY3W110009; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AL3087744; სარეგისტრაციო ნომერი: NI993NI;

2015 წლის 10 აგვისტოს და 2015 წლის 21 სექტემბერს №101413820 სესხისა და გირავნობის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, რომლის თანახმადაც კრედიტის გადახდის ვადა გაიზარდა 6 თვით და განისაზღვრა 10.04.2016წლამდე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე თორნიკე ნათელაშვილს ორჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე თორნიკე ნათელაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე თორნიკე ნათელაშვილი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე თორნიკე ნათელაშვილს (პირადი №01027068863) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. თორნიკე ნათელაშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე თორნიკე ნათელაშვილს ეცნობოს, რომ 2016 წლის 10 თებერვალს 11:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით თორნიკე ნათელაშვილის მიმართ.

5. თორნიკე ნათელაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

---

საქმე №1/147-2015

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი — 23 დეკემბერი 2015 წელი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“**
**საარბიტრაჟო მოპასუხე: ნუგზარ ქავთარაშვილი, ბერდია ჯაფარიძე**

**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია**

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 7 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ნუგზარ ქავთარაშვილისა და ბერდია ჯაფარიძეს მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 9 ოქტომბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და ნუგზარ ქავთარაშვილს შორის დაიდო №101413814 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 2560 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა-ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე- მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხის და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: სუბარუ ფორესტერ; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2005; ტიპი: უნივერსალი; ფერი: ლურჯი 7/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №JF1SG9LT56G063066; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AL3354031; სარეგისტრაციო ნომერი: AR777BI.

2014 წლის 9 ოქტომბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და ბერდია ჯაფარიძეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაედო მოპასუხის ნუგზარ ქავთარაშვილისა და ბერდია ჯაფარიძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ნუგზარ ქავთარაშვილს სამჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ნუგზარ ქავთარაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ნუგზარ ქავთარაშვილი ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

9. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ნუგზარ ქავთარაშვილს (პირადი №08001003822) ეცნობოს, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

10. ნუგზარ ქავთარაშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

11. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

12. მოპასუხე ნუგზარ ქავთარაშვილსა და ბერდია ჯაფარიძეს (პირადი №62004009738) ეცნობოთ, რომ 2016 წლის 10 თებერვალს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ნუგზარ ქავთარაშვილისა და ბერდია ჯაფარიძის მიმართ.

13. ნუგზარ ქავთარაშვილსა და ბერდია ჯაფარიძეს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

14. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

15. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

16. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**




# „სურკოვმა წამოგვართყა და მაშინვე „ჩავაბარეთ“ ჩვენი დიასპორა!“

## აფხაზეთში ყველას ესმის ამ ყველაფრის აბსურდულობა

თურქეთი არ შედის იმ ქვეყნების რიცხვში, რომელთაც აფხაზეთი დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარეს, თუმცა თურქული ბიზნესის წილად ოკუპირებული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის 18% მოდის. ამ მხრივ თურქეთი მეორე პოზიციაზეა, პირველზე კი, ცხადია, რუსეთია დიდი უპირატესობით. და თავიდანვე, როგორც კი გასული წლის 23 ნოემბერს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის თურქულმა ძალებმა რუსული ბომბდამშენი ჩამოაგდეს, ცხადი იყო, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების გაუარესება მტკივნეულ დარტყმას მიაყენებდა ეკონომიკურ ვითარებას აფხაზეთში, — წერს „эхо Кавказа“.

დე ფაქტო მთავრობის ხელმძღვანელ არტურ მიქვაბიას მიერ განკარგულების გამოცემის შემდეგ, რომელიც თურქეთის მიმართ რუსული სანქციებისადმი ოკუპირებული აფხაზეთის მიერთებას შეეხებოდა, გამოცემის სოხუმელმა მიმომხილველმა სოხუმის თურქული მაღაზიების ჩამოვლა და მათ მფლობელებთან გასაუბრება გადაწყვიტა.

„პირველ რიგში, ცენტრალური ბაზრისგან ორიოდ კვარტალში მდებარე მაღაზია „Алиф“-ში შევიარე, რომელშიც რამდენიმე წლის წინ ხორცისა და ხორცპროდუქტების გაყიდვა დაიწყეს, თუმცა აქ არა მხოლოდ მუსლიმი რეპატრიანტები შემოდიან, — მეც არაერთხელ შემომივლია, რადგან ვიცი, რომ მუდმივად ხარისხიანი საკვები პროდუქტი აქვთ. ახალგაზრდა, შავწვერა რეპატრიანტ სედატ ფილიასთან საუბარი არ გამომივიდა, რადგან როგორც მითხრეს, თურქულის გარდა, სხვა ენას არ ფლობს. აი, მის გვერდით მდგომმა მოლარე-გამყიდველმა სუსანამ კი — აფხაზმა თურქმა ოჩამჩირეს რაიონიდან, რომელმაც აფხაზურიც იცის, რუსულიც და თურქულიც, ჩემს კითხვებს სიამოვნებით უპასუხა. მისი თქმით, ფასებმა მაღაზიაში, სადაც ყველა პროდუქტი, ხორცისა და კვერცხის გარდა, თურქეთიდანაა იმპორტირებული, მთელი გასული წლის განმავლობაში აშშ დოლარის კურსის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, მხოლოდ უმნიშვნელოდ მოიმატა, შესაბამისად, არც მომხმარებლის რაოდენობა შემცირებულა, თუმცა ახლა სედატიც და მისი ყველა თანამშრომელიც სასოწარკვეთილია, რადგან არ იციან, მოხერხდება თუ არა ბიზნესის შენარჩუნება.

შევიარე „Мимоза“-შიც, რომელიც თურქეთიდან რეპატრიანტ დენიზ ჟანბეის ეკუთვნის (ცოლად გუდაუთელი ოქსანა ბარციცი ჰყავს). აქ საკანცელარიო ნივთების გაყიდვასთან ერთად, მომხმარებელს ბროშურებისა და ბუკლეტების ბეჭდვის სერვისსაც სთავაზობენ. დენიზი ასევე სასოწარკვეთილი დამხვდა: „არავინ იცის, რა გველის ხვალ, რომელ საქონელს აკრძალავენ. ახლა აქ (აფხაზეთში) ბევრი ადამიანი ყიდის თურქულ საქონელს, მათ გვერდით კიდევ ბევრი მუშაობს და ახლა ყველა დაკარგავს სამუშაოს. ამბობენ, სამშენებლო მასალები, ხილ-ბოსტნეული, ტანსაცმელიო“ იცით, დღეს მეგობარი მოვიდა და მითხრა, იქ სადღაც მშენებლობაზე თურქები მუშაობდნენ, ახლა კი თქვეს, თურქები თურქეთში უნდა დაბრუნდნენო. ვიზაა ასაღები, რუსულს 20 დღე უნდა ელოდო, თურქეთში კი მას ორ დღეში იძლევიან“. ამ საკითხების დარეგულირებაში, როგორც თქვა, ვიცე-პრემიერი შამილ არძინბა ეხმარებათ“, — წერს სოხუმელი მიმომხილველი თურქული მაღაზიების შემოვლის შემდეგ.

ინტერნეტ-ფორუმები კი, მისი ინფორმაციით, დღეს აჭრელებულია „მკბენარე“ რეპლიკებით, როგორიცაა, მაგალითად: „რა ძლიერები ვართ! სურკოვმა წამოგვართყა და მაშინვე „ჩავაბარეთ“ ჩვენი დიასპორა! სადღაა იმ ორატორების პათეტიკური სიტყვები, რომლებიც ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების წინ ერთი მეორის მიყოლებით დარბოდნენ თურქეთში მხარდაჭერის სათხოვნელად?!“. თუმცა ზოგიერთი მოუწოდებს საზოგადოებას, ემოციებს არ აჰყვეს: „დიასპორა გაგებით მოეკიდება ამ ნაბიჯს. გარდა ამისა, სანქციები, სავარაუდოდ, არ იქნება ყოვლისმომცველი და ჩვენი თანამემამულეების ინტერესები ყურადღების მიღმა არ დარჩება“.

**„რეალურად, ყველას ესმის ამ ყველაფრის აბსურდულობა. ძალაუნებურად მახსენდება ანდაზა: „ბატონები (პუტინი და ერდოღანი) ჩხუბობენ, ყმებს კი თავსაბურავები ეხევათო“.** თავსაბურავების მატარებლებს შორის აქ ყველას ვგულისხმობ — თურქეთის მცხოვრებლებსაც, რუსეთისასაც და აფხაზეთისასაც“.

**სოხუმელი მიმომხილველი.**

**ინფორმაცია**

## ოკუპირებულ ცხინვალში სამხედრო წვრთნები დაიწყო



**სწავლებებში 2 ათასამდე რუსი სამხედრო მოსამსახურე და 500 ერთეული სამხედრო ტექნიკაა ჩართული. როგორც სამხრეთ ოლქის სამეთაურო შტაბი იტყობინება წვრთნები მიზნად ჯარისკაცთა ინდივიდუალური მომზადების დონის ამაღლებას ისახავს. წვრთნები 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს.**

ჯი-ეიჩ-ენი

საქმე №1/183-2015

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

29 დეკემბერი 2015 წელი ქ. თბილისი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“**
**საარბიტრაჟო მოპასუხე: კახაბერ ჩოგოვაძე**

**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია**

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 20 ნოემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე კახაბერ ჩოგოვაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2013 წლის 2 მაისს შპს „ნოვა კრედიტსა” და კახაბერ ჩოგოვაძეს შორის დაიდო №051311805 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 750 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა. ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს, მას დაერიცხება პირგასამტეხლო გრაფიკით განსაზღვრული შემოსატანი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: ოპელ ასტრა; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 1999; ტიპი: სედანი; ფერი: მწვანე 6/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №W0L0TGF35Y8014221; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AV9272028; სარეგისტრაციო ნომერი: YGY868.

2013 წლის 15 აგვისტოს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც სესხის ძირ თანხად განისაზღვრა 1100 აშშ დოლარი, ხოლო 2013 წლის 2 ნოემბრის ცვლილებით კი სესხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 02.05.2014წელი.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე კახაბერ ჩოგოვაძეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე კახაბერ ჩოგოვაძეზე სამჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე კახაბერ ჩოგოვაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე კახაბერ ჩოგოვაძე მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

17. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე კახაბერ ჩოგოვაძეს (პირადი №53001013307) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

18. კახაბერ ჩოგოვაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

19. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

20. მოპასუხე კახაბერ ჩოგოვაძეს ეცნობოს, რომ 2016 წლის 10 თებერვალი 10:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ ბორჯომის ქ. №2, ბინა 11 დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით კახაბერ ჩოგოვაძის მიმართ.

5. კახაბერ ჩოგოვაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

ნდობის ვოტუმი

# „ბორჯღალოსნებს“ ისევ მილტონ ჰეიგი დაარიგებს, მისი ასისტენტი კი ლევან მაისაშვილი იქნება

**გაიმართა სრკ-ის გამგეობის სხდომა, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად, მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები:**

2015-2016 წლებში საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ დებულების მე-5 მუხლის 28-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილებები და დამატებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„კაცთა ეროვნულ ნაკრებ გუნდში ან/და მზარდი საქართველოს ნაკრებ გუნდში ან/და შვიდკაცა ეროვნულ ნაკრებ გუნდში ან/და 19-20 წლიანთა ნაკრებ გუნდში სამი ან მეტი მოთამაშის გაწვევის შემთხვევაში 1 სეზონის განმავლობაში შესაძლებელია მხოლოდ 3 (სამი) თამაშის გადატანა, რის შესახებ გუნდმა (კლუბმა) უნდა აცნობოს საშეჯიბრო კომიტეტს 5 კალენდარული დღით ადრე. წინააღმდეგ შემთხვევაში მატჩი არ გადაიდება. მწვრთნელების ნაკრებებში მივლინების გამო თამაში არ გადაიდება, თუნდაც ეს პიროვნება საკლუბო განაცხადში მოთამაშედ ირიცხებოდეს“.

2015-2016 წლებში საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ დებულების მე-5 მუხლს დაემატოს 28I-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ამ მუხლის 28-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი არ მოქმედებს „დიდი-10“, I და რეგიონული ლიგების ფლეი-ოფის მიმდინარეობისას.

სრკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ ბესელიამ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატად წარადგინა მილტონ დევიდ ჰეიგი, ხოლო ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტობის კანდიდატად — ლევან მაისაშვილი.

გამგეობამ იმსჯელა წარმოდგენილ კანდიდატებთან დაკავშირებით და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დაამტკიცა მილტონ დეივიდ ჰეიგი, ხოლო ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტის თანამდებობაზე — ლევან მაისაშვილი 2+2 წლის ვადით.

დამტკიცებულ მთავარ მწვრთნელთან და მის ასისტენტთან შრომით ხელშეკრულებას გააფორმებს სრკ-ის ახალი პრეზიდენტი, რომელსაც 24 იანვარს აირჩევენ.

**კობა კობახიძე**

ჩოგბურთი

# წილი ნაყარია



**ისრაელის ქალაქ ეილატში 3-6 თებერვალს ფედერაციის თასზე ევრო-აფრიკული პირველი ზონის 14 გუნდი შეიკრიბება. ისინი წილისყრით ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ:**

A **ჯგუფი:** შვედეთი, პორტუგალია, უკრაინა.
B **ჯგუფი:** დიდი ბრიტანეთი, საქართველო, სამხრეთი აფრიკა.
C **ჯგუფი:** ხორვატეთი, ესტონეთი, ისრაელი, თურქეთი.
D **ჯგუფი:** უნგრეთი, ბელგია, ბულგარეთი, ლატვია.

საქართველოს ქალთა ნაკრები ისრაელში ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: **სოფიო შაფათავა, ეკატერინე გორგოძე, სოფიო ქვაცაბაია, ოქსანა კალაშნიკოვა, კაპიტანი მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი;** დიდი ბრიტანეთი: **იოანა კონტე, ჰითა უოტსონი, ანა სმიტი, ჯოსელინ რაი;** სამხრეთი აფრიკა: **ჩანელ საიმონსი, ილზე ჰატინგი, მადრი ლე რუ, მიშელ საიმონსი.**

ეილატში 6 თებერვალს გაირკვევა იმ ორი გუნდის ვინაობა, რომლებიც ფედერაციის თასის მსოფლიო ჯგუფის პლეი ოფში ითამაშებენ. პირველ ნახევარფინალში A და C, ხოლო მეორეში B და D ჯგუფების საუკეთესოები შეხვდებიან ერთმანეთს. საქართველოს ნაკრები 3 თებერვალს სამხრეთ აფრიკას, 5 თებერვალს კი დიდ ბრიტანეთს დაუპირისპირდება.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: მარცხნიდან — სოფიო შაფათავა, სოფიო ქვაცაბაია, ოქსანა კალაშნიკოვა, მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი, ეკატერინე გორგოძე.**

პროექტი

# 2018 წლის მუნდიალზე მსაჯებს, შესაძლოა, ვიდეოგამეორების გამოყენების საშუალება მისცენ

**ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციის ტექნიკური კომიტეტი, რომელიც თამაშის წესებში ცვლილებების შეტანაზე მსჯელობს, საინტერესო წინადადებებით წარსდგა და მათგან ერთ-ერთი, შესაძლოა, რევოლუციური გახდეს. ამ საკითხზე დიდი ხანია მსჯელობენ, ახლა კი გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა და 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც რუსეთი უმასპინძლებს, მსაჯებს შესაძლოა ვიდეოგამეორებების ხილვის და გადაწყვეტილებების ასე მიღების საშუალება მისცენ.**



ამის შესახებ რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარემ და უეფას მსაჯთა კომიტეტის წევრმა ნიკოლაი ლევნიკოვმა „სპორტ-ექსპრესთან“ საუბარში განაცხადა.

„შესაძლოა, მარტში გასამართ საერთაშორისო საბჭოზე მიიღონ ექსპერიმენტის ჩატარების გადაწყვეტილება. საუბარია ერთ-ერთ ევროპულ ასოციაციაზე, კერძოდ ინგლისზე, სადაც მსაჯებს ვიდეოგამეორების გამოყენების საშუალება ორ შემთხვევაში მიეცემათ — გოლის გატანის და თერთმეტმეტრიანის დანიშვნის ეპიზოდებში. ვიდეოგამეორების საშუალებით მსაჯები დარწმუნდებიან, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. ფიფას სურს, რომ მსაჯებს ნდობა დაუბრუნოს“.

საერთაშორისო ტურნირებში თამაშებს 18-დან 22 კამერამდე იღებს და ხშირ შემთხვევაში მსაჯები ვერ ხედავენ იმას, რასაც მილიონობით ტელემაყურებელი ამჩნევს. ვიდეოგამეორება უკვე დაინერგა და წარმატებით მუშაობს დიდ სარაგბო ტურნირებში. ფეხბურთში გარკვეული ექსპერიმენტები აქამდეც ჩატარდა. მაგალითად, იტალიაში მოედანზე ერთდროულად ორი მსაჯი მუშაობდა, თუმცა, ეს ექსპერიმენტი წარუმატებლად ცნეს. ახლაც არაა გარანტია იმისა, რომ ამ ექსპერიმენტის შემდეგ ვიდეოგამეორება ფეხბურთში დაინერგება. კითხვები მრავლადაა. მაგალითად, მსაჯი ვიდეოგამეორებას მიმართავს, როდესაც ნიშნავს თერთმეტმეტრიანს და საკუთარი გადაწყვეტილების გამყარებას ეცდება, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება მაშინ, როდესაც საეჭვო სიტუაციაში თერთმეტმეტრიანი არ დაინიშნება და თამაში გაგრძელდება.

ერთი საინტერესო ფაქტიც. 2003 წელს, რუსეთის თასის ნახევარფინალში, რომელშიც „ანჟი“ „როსტოვს“ ეთამაშებოდა, მახაჩყალელთა თხოვნით მსაჯმა გადაამოწმა სტუმართა გოლი, რის შემდეგაც ის გააუქმა. ამან მოედანზე გუნდური ჩხუბი გამოიწვია და თამაში დაახლოებით 20 წუთით შეწყდა. მაშინ ეს ექსპერიმენტი წარუმატებლად ცნეს.

**გიორგი შოთაძე**

რალი

# ლოების ავარია და დაკარის ახალი ლიდერები

**დაკარზე გამართულ მე-8, მე-9 და მე-10 ეტაპებზე ლიდერი ორჯერ შეიცვალა, სებასტიან ლოები კი გამარჯვებისთვის ბრძოლას გამოეთიშა. მერვე ეტაპზე მას ავარია მოუვიდა და ძლიერ დაამტვრია თავისი „პეჟო“, რის რემონტზეც საათზე მეტი დაკარგა. ეს კი ნიშნავს, რომ მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონს დაკარის მოგების შანსი ხელიდან დებიუტშივე გამოეცალა.**

ფრანგს პრობლემები ჯერ კიდევ მერვე ეტაპის შუა დისტანციაზე შეექმნა, როცა დიუნებში გაიჭედა, თუმცა, ბუნების ხაფანგს თავი მალე დააღწია და გზა განაგრძო. მალე, სანამ ფინიშს მიაღწევდა, შეცდა, რასაც მანქანის ამოყირავება მოჰყვა. ლოებმა და მისმა უცვლელმა ნავიგატორმა დანიელ ელენამ მანქანის გარემონტება და რბოლაში დაბრუნება შეძლეს, თუმცა, მოგების შანსი მაინც დაკარგეს.



ეტაპი ყატარელმა ნასერ ალ-ატიამ მოიგო. დაკარის მოქმედმა ჩემპიონმა პირველმა შეძლო სპეცმონაკვეთებზე „პეჟოს“ არმადის დამარცხება და ლოების უიღბლობის წყალობით მესამეზე გადაინაცვლა. ლიდერობა ლოების თანაგუნდელმა სტეფან პეტერანსელმა გადაიბარა, რომელსაც ორ წუთზე ოდნავ მეტით ჩამორჩებოდა „პეჟოს“ კიდევ ერთი მრბოლი კარლოს საინსი.

თუმცა, მეცხრე ეტაპი სწორედ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა მოიგო და კლასიფიკაციასაც სწორედ ის ჩაუდგა სათავეში. ეს ეტაპი ისედაც ერთ-ერთი უმოკლესი იყო, მაგრამ ორგანიზატორებმა კიდევ უფრო დაამოკლეს, რადგან რბოლა გაუსაძლის სიცხეში ჩატარდა. მოკლედ, რბოლა მეორე საკონტროლო პუნქტთან შეწყდა. ასეთ შემოკლებულ რბოლაშიც კი პეტერანსელმა საინსთან 7 წუთზე მეტი წააგო და ლიდერობაც მას გადააბარა, თავად კი მეორეზე გადაინაცვლა. მესამეზე ისევ ალ-ატია დარჩა, რომელიც შეცვლილ ლიდერს ისევ 14 წუთით ჩამორჩებოდა. ლოებმა საინსთან კიდევ ერთი საათი წააგო და ეტაპი მე-18 ადგილზე დაასრულა.

არანაკლებ დრამატული გამოდგა მეათე ეტაპი, რომლის შემდეგაც ლიდერი ისევ შეიცვალა. თან ამჯერადაც გამარჯვებისთვის ბრძოლას „პეჟოს“ კიდევ ერთი მრბოლი საინსი გამოეთიშა. პეტერანსელმა დიდი ნაბიჯი გადადგა ტრიუმფისკენ — ის მეორეზე გადასულ ალ-ატიას ზუსტად საათს უგებს. მესამეზე კი „ტოიოტათი“ მოასპარეზე სამხრეთაფრიკელმა ჟინიელ დე ვილიერსმა გადაინაცვლა.

ჯერ იყო და, ადიდებული მდინარის გამო, სტარტი გადაიდო. მერე კი, სტარტიდან მეექვსე კილომეტრზე, ალ-ატიამ ლოების ტრიუკი გაიმეორა — მისმა „მინიმ“ ყირა შეასრულა.ყატარელმა 52 წუთი დაკარგა, თუმცა, რბოლას მაინც დაუბრუნდა. პრობლემები პეტერანსელს, საინსს და მიკო ჰირვონენსაც („მინი“) ჰქონდათ, რომლებსაც დიუნებში გზის გაკვლევა გაუჭირდათ. 213-ე კილომეტრზე კი საინსს გადაცემათა კოლოფი გაუტყდა. პეტერანსელმა რომ ფინიშის ხაზი გადაკვეთა, საინსი ორი საათის შემდეგაც არ ჩანდა, რაც იმას ნიშნავს, რომ, შესაძლოა, მისთვის რბოლა დასრულდა. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს გამარჯვების შანსი აღარ აქვს.

**ბადრი იაშვილი**

უკვდავება

# კერესის მემორიალი ტალინში




**ტალინში დასრულდა ესტონური ჭადრაკის ლეგენდის და ქვეყნის მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენის პაულ კერესის მემორიალი სწრაფ ჭადრაკში.**

აღსანიშნავია, რომ წელს ესტონეთი ეროვნული გმირის დაბადებიდან 100 წლისთავს აღნიშნავს და პატივისცემის ნიშნად, კერესის გამოსახულებით, 2 ევროს ნომინალის მონეტებიც გამოუშვეს.

ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობით ხასიათს ატარებდა — მონაწილეთა შორის იყვნენ: პიოტრ სვიდლერი, ბორის გელფანდი, მსოფლიოს ექსჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი და სხვები.

ასპარეზობა შვეიცარული სისტემით — 11 ტურად წარიმართა — დიდოსტატებს თითოეულ პარტიაზე 15 წამი ჰქონდათ 10-წამიანი დამატებით პირველივე სვლიდან.

11-დან 8 ქულით ერთპიროვნულად იმარჯვა ლატვიის სახელით მოასპარეზე **იგორ კოვალენკომ.** ნახევარი ქულით ნაკლები დააგროვეს: **დევიდ ჰოუელმა (ინგლისი) და ბორის გელფანდმა (ისრაელი).**

ქალთა შორის საუკეთესო შედეგი (8 ქულა) 2008-2010 წლების მსოფლიოს ჩემპიონმა **ალექსანდრა კოსტენიუკმა (რუსეთი)** აჩვენა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

გახსენება

# ტარიელ თაბაგარი



არავინ იცის, რას წარმოსახავს სიკვდილის წინ ადამიანის გონება.

საწუხარი და სადარდელი კი ბევრი მიგაქვს. შენი ფიქრი და ოცნება არასდროს ემიზნებოდა პირად კეთილდღეობას. ის უფრო მოყვასისა და ქვეყნის სიყვარულზე იყო გათვლილი — უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ჩოხოსანთა საზოგადოების ერთ-ერთი საიმედო წევრი იყავი.

სიკეთისა და სათნოების მოძულე პოლიტიკოსებს, ბუნებრივია, აღიზიანებდათ შენნაირი ვაჟკაცების არსებობა, ამიტომაც მოგექცნენ უსამართლოდ და ცხრა თვე მოგწყვიტეს შენს ძვირფას ოჯახსა და სამეგობროს, რაც შენ ჯანმრთელობაზე ცუდად აისახა.

პიროვნება მხოლოდ იმით არ ფასდება, თუ რას აკეთებს, არამედ იმითაც, თუ როგორ აკეთებს. შენ გამორჩეულად გეხერხებოდა ადამიანებთან ურთიერთობა, ამიტომაც მცირე დროში შესძელი ისეთ ადამიანებთან დამეგობრება, რომლებიც თავიანთ საქმეში მეტრები არიან. ალალი იყოს ცრემლი, რომელიც გაგაყოლეს ზეციურ საქართველოში.

სიკეთე შენი მოწოდება იყო და იმის სამსახურში იყავი მუდამ. ვიხსენებთ შენი მეგობრები, როგორ ემზადებოდი ახალ წელთან შესახვედრად. დაუნდობელი აღმოჩნდა 2015 წლის დეკემბერი ჩოხოსნებისთვის — ხუთი გამორჩეულად ერთგული, ქართული ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის სადარაჯოზე მდგომი რაინდი ამაღლდა ზეცაში...

ტარიელ, ძმაო, ყველანი უხალისოდ შევხვდით ახალ წელს, ვერ გავექეცით რეალობას, რაც შენი არყოფნით იყო გამოწვეული. ხუთი შვილის მამას, სამი ქალიშვილის შემდეგ ღმერთმა ორი ვაჟიშვილი გაჩუქა. ძმისშვილსაც შვილად მიიჩნევდი და ხშირად ამბობდი, ექვსი შვილი მყავსო, შენ მათ სადღეგრძელოს ერთად სვამდი, მათთვისაც ერთად ლოცულობდი.

განსაკუთრებულად გიყვარდა შენი ქიათურელი ძმები, ყველასთან დაგვამეგობრე, მათთან ურთიერთობა გვიმსუბუქებს ტკივილს, რაც შენ მოგვაყენე უდროო გარდაცვალებით.

არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ის სიხარული, რასაც შენ გრძნობდი შენ შვილებთან ერთად პატარა ტაძარში, სამთავეს ძალიან გიხდებოდათ სტიქარი, რადგან ღვთის სამსახურში ყოფნა ეს ყველაზე დიდებული საქმეა ნებისმიერი ადამიანისთვის, შენ ძალიან კარგად გესმოდა რუსთაველი — „მაგრამ ღმერთი არ გაწირავს კაცსა შენგან განაწირსა“.

ამბობენ, ზეცაში ამაღლებულთათვის დრო სწრაფად გადისო, ამიტომ გვჯერა, რომ სულ მალე შენ შვილებთან ერთად შენს საფლავზე შენი შვილიშვილებიც ამოვლენ და ჩამოგძახებენ: „ქრისტე აღსდგა, ბაბუ!“ და ხალისით გადააგორებენ შენს გულზე წითელ კვერცხებს დასტურად სიკვდილზე გამარჯვებისა.

სიკეთე შენი მოწოდება იყო და იმის სამსახურში იყავი. გემშვიდობებით, ძმაო, და გვრჩება მხოლოდ მოლოდინი იმისა, რომ ჩვენი წიაღი კვლავაც შობს შენისთანა მამულიშვილებს...

**საპატრიარქოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოება**

სანთელი

## გიული ჯალაღანიას გახსენება



ოჰ, რა მტკივნეული და გაუსაძლისი წლები გავიდა, ჩვენო ტკბილო და საყვარელო დაო.

შენ ყველასთვის ძვირფასი „გულო მამი“ იყავი, სიკეთისა და ბედნიერების მომტანი. ასეთად გიცნობდნენ და გაფასებდნენ. ამ დევიზით განვლე შენი ცხოვრების გზა.

ბევრი კარგი ამბავი მოხდა ჩვენს ოჯახში. ვიცი, გაგიხარდებათ, მაგრამ გული, გვწყდება, რომ თქვენ ამას ვერ მოესწარით.

უფალს ვთხოვთ, შენს დედ-მამის გვერდით მშვიდად იძინო და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოთ ცათა სასუფეველი.

**ლამარა, გვაჩი ჯალაღანიები ოჯახით**

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული პიროვნება, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეთნოლოგი

**გიორგი გოცირიძე**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო კვლევის ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ თვალსაჩინო ქართველი ეთნოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ჩვენი ცენტრის წამყვანი მეცნიერი თანამშრომლის

**გიორგი გოცირიძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

---

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ქართულმა ეთნოლოგიურმა სკოლამ უდიდესი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ცნობილი ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე

**გიორგი (გოგი) გოცირიძე**

ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, კლიმენტი ჯანჯღავა, გურამ გუნავა, ავთანდილ ჩხაიძე, ნოდარ შარტავა, იური გუგუჩია, ანზორ ჭითანავა, კლიმენტი კიკალიშვილი, გივი სოსელია, გოგი შაფათავა, მურმან ნაჭყებია, ვაჟა ფიფია, კარლო ვეკუა, ზურაბ გოგოხია, ოთარ ჭითანავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ენგურჰესის მშენებლობის სატრანსპორტო გაერთიანების მთავარი ინჟინერი, დიდებული მამულიშვილი

**სოსო ივანეს ძე ჩხაიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

დარეჯან ელიაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი ადამიანის, ყველასათვის საყვარელი და გამორჩეული ქალბატონის, განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკის, შესანიშნავი ოჯახის დედაბოძის

**ნაზი ნადარეიშვილ-ტყებუჩავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ჭირისუფალთ და ახლო ნათესავებს.

---

ლია, რომან კიზირიები გულისტკივილით იუწყებიან ღირსეული ქალბატონის

**ნაზი ნადარეიშვილ-ტყებუჩავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

---

მარინა კანდელაკი თანაუგრძნობს ნოდარ და ჩიორა ტყებუჩავებს დედისა და დედამთილის

**ნაზი ნადარეიშვილ-ტყებუჩავას**

გარდაცვალების გამო.

რეკლამა
293-37-87, 599797679

### სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მიზნით აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო შემდგომში განათავსებს გაზეთ „ახალ თაობაში“.

ინფორმაცია

### ბჟუჟი შემოქმედელებს ველარ შეაშინებს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ეკა სეფაშვილმა, „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ დირექტორთან იოსებ ოზაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მდინარე ბჟუჟის ნაპირსამაგრი სამუშაოები დაათვალიერა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში, მდინარე ბჟუჟის ნაპირსამაგრ სამუშაოებს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინირებით „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ ახორციელებს. ბჟუჟის ადიდებამ 2014 წლის სექტემბერში, გურიას 3 მილიონ 24 ათასი ლარის ზარალი მიაყენა. პროექტის ფარგლებში შენდება 7,20 მეტრი სიმაღლის რკინა-ბეტონის დამცავი კედელი. კედლის მშენებლობა ბჟუჟის კალაპოტში იმ ადგილას მიმდინარეობს, სადაც ადიდებულმა მდინარემ 70 მეტრი საავტომობილო გზა ჩაანგრია და მოძრაობა შეაჩერა.

აღნიშნული გზით გურიის 7 სოფლის მოსახლეობა - დაახლოებით 5219 ადამიანი და რეგიონის სტუმრები სარგებლობენ. ნაპირდამცავი სამუშაოების დასრულების შემდეგ, გზაზე გადაადგილება მათთვის, ინტენსიური წვიმების დროსაც კი, უსაფრთხო იქნება.

ბჟუჟის ნაპირგამაგრების სამუშოები, ასევე, მოიცავს 100 მეტრი სიგრძის გაბიონის მშენებლობას. ამასთან, გაიწმინდა, გაფართოვდა და გაღრმავდა მდინარის კალაპოტი; წყლის შესაკავებლად მოეწყო რამდენიმე დროებითი დამბა, ჩაიდო 36 ცალი 10-ტონიანი ტეტრაპოდი.

ნაპირგამაგრებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6 მილიონი ლარი გამოიყო. სამუშაოებზე 45 ადამიანია დასაქმებული.

### ღორის გრიპმა სომხეთსა და უკრაინას შეუტია

ბოლო ერთი თვის განმავლობაში სომხეთში ღორის გრიპს 10 ადამიანი ემსხვერპლა. ამის შესახებ სომხეთის ჯანდაცვის სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელმა განაცხადა. ანაიტ აიტაიანის ინფორმაციით, მეათე პაციენტი ერევნის კლინიკაში ორი დღის წინათ გარდაიცვალა. მის გადასარჩენად ექიმები კვირაზე მეტხანს იბრძოდნენ. დღეისათვის სომხეთის ინფექციურ კლინიკებში ღორის გრიპის დიაგნოზით 81 პაციენტი რჩება. 14 მათგანი ხელოვნური სუნთქვის აპარატს არის მიერთებული.

ღორის გრიპის შემთხვევებმა უკრაინაშიც იმატა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ღორის გრიპის შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობამ 50-ს გადააჭარბა, რაც წინა წელთან შედარებით 10 პროცენტით მეტია. ვირუსი ძირითადად ოდესას, ბერდიჩევისა და კრამარტორსკის უტევს. უკრაინის ჯანდაცვის მინისტრის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე პანიკის საფუძველი არ არსებობს.

უკრაინული მედიის ცნობით, 2016 წლის პირველ კვირაში ქვეყანაში გრიპით 124 ათასი ადამიანი დაავადდა, რაც 10 ათას ადამიანში 29 შემთხვევას გულისხმობს. მედიკოსების განცხადებით, ეს მონაცემები ეპიდემიის გავრცელებაზე არ მიუთითებს, მაგრამ სპეციალისტების მოლოდინით, ვირუსის გავრცელების პიკი იანვრის მეორე ნახევრიდან დაიწყება, როცა ტემპერატურა დაათბობას დაიწყებს.

### სუიციდი რუსთავში

რუსთავში, 36 წლის თურქეთის მოქალაქემ თავი ჩამოიხრჩო. გავრცელებული ინფორმაციით, იგი თორდიას ქუჩაზე ცხოვრობდა, სადაც საპატრულო პოლიციამ ფანჯრიდან შეაღწია და მამაკაცი ჩამომხრჩვალი დახვდათ.

შემთხვევის ადგილზე მივიდნენ გარდაცვლილის ნათესავებიც, რომლებიც თურქეთიდან სტუმრად ჩამოვიდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

### 15 წლის გოგონა მე-13 სართულიდან გადმოხტა

უბედური შემთხვევა თბილისში. ბერბუკის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის მე-13 სართულიდან 15 წლის გოგონა გადმოხტა. ის ადგილზევე გარდაიცვალა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა. სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

# ახალგაზრდებო, ფულის შოვნისთვის საჭიროა კარგი ცოდნა!

## ბოდო შეფერის სიმდიდრის 21 პრინციპი



**16 წლის ასაკში ბოდო შეფერი მშობლიური კიოლნიდან კალიფორნიაში გაემგზავრა მარტო. მას არ ჰქონდა არც ფული, არც განათლება და ინგლისურადაც კი არ საუბრობდა. მაგრამ ის არ დაკარგულა.**

**უკვე 26 წლის ასაკში მისმა შეცდომებმა და ცხოვრებისეულმა პრინციპებმა მიიყვანეს იქამდე, რომ სრულიად გაბანკროტდა, ვალად დაედო 75 ათასი მარკა. ამ რთული სიტუაციიდან ბოდო შეფერმა მოძებნა უჩვეულო გამოსავალი. მან გადაწყვიტა, რომ სჭირდება „ფინანსური მწვრთნელი“ და მოძებნა კიდეც ის.**

**ორნახევარი წლის შემდეგ, ამერიკელი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, შეფერმა პირველად ცხოვრებაში გამოიმუშავა 100 ათასი მარკი, რის შემდეგ მან გაზარდა კაპიტალი მილიონამდე, ხოლო მოგვიანებით თავად გახდა შესანიშნავი მწვრთნელი. წარმოგიდგენთ სიმდიდრის მისეულ 21 პრინციპს:**

1. შემოსავლიდან 25%, ხოლო დამატებითი შემოსავლიდან 50% გადადეთ სხვა ანგარიშზე. შემდეგ განახორციელეთ ამ ფულის ინვესტირება. ბანკი ძალიან ცოტა მოგებას მოგცემთ, ისინი მხოლოდ ფულს იცავენ ინფლაციისგან.

2. დაზოგეთ.

მხოლოდ ეკონომია და ფულის დაბანდება შეიძლება გახდეს რამდენიმე წელიწადში მილიონის შოვნის საბაბი. გზის დასაწყისში ხელგაშლილ ცხოვრებას არასოდეს მიჰყავს ადამიანი ფინანსურ კეთილდღეობამდე.

3. მართეთ ფული.

ჩვენი უბედურება — არის ცუდი დამოკიდებულება საკუთარი ფულისადმი. გაუფრთხილდით მას. არავინ არ ამბობს, რომ საჭიროა სიამოვნებაზე სრულიად ვთქვათ უარი, მაგრამ ყველაფერი გონივრულად უნდა ვაკეთოთ.

4. შეადგინეთ ფინანსური გეგმა 7-10 წელზე.

განსაზღვრეთ რისკენ ისწრაფვით და რამდენის გამომუშავება გსურთ ერთი, ორი, ხუთი წლის შემდეგ. ჩამოყალიბდით, რას გააკეთებთ იმისათვის, რომ დასახულ მიზანს მიაღწიოთ.

5. ოცნება არ უნდა იყოს წვრილმანი, იფიქრეთ გლობალურად.

იოცნებეთ მილიარდებზე და დიდ წარმატებაზე. დიდი ოცნებები დაყავით პატარა მიზნებად. შედეგად დაიწყებთ პატარა მიზნების მიღწევას, რაც მიგიყვანთ დიდ ოცნებასთან.

6. თქვენი აზროვნების პრინციპები უნდა იყოს ისეთი, როგორიც მილიონერებს ან მილიარდერებს აქვთ. შეეცადეთ მდიდარი ადამიანების კატეგორიებით იფიქროთ!

7. იყავით თავდაჯერებული.

ფულს და ადამიანებს იზიდავენ თავდაჯერებული პირები. დარწმუნებული იყავით საკუთარ წარმატებაში მაშინაც კი, როცა საქმე ცუდად მიდის.

8. ნუ შეგეშინდებათ პრობლემების.

ისწავლეთ პრობლემებს და წარუმატებლობას სიხარულით შეხვდეთ. დიდი მიზნები ხშირად დიდ პრობლემებს და სირთულეებს წარმოქმნიან. პრობლემების გადაწყვეტა გვაძლიერებს.

9. დაცემის შემდეგ ამდგარი კიდევ უფრო ძლიერი ხართ.

10. ფინანსური თავისუფლება მოდის მხოლოდ ფინანსური შეზღუდვების შემდეგ.

11. თუ რაიმეს გაკეთება გადაწყვიტეთ, მაგრამ არ დაიწყეთ ეს 72 სთ-ის მანძილზე, შემთხვევების 85%-ში ამას არასოდეს გააკეთებთ.

12. გჯერათ თუ არა იმის, რომ გამდიდრდებით?

მნიშვნელობა არ აქვს გჯერათ თუ არა, მაგრამ თუ პირადი ფინანსების მართვის მარტივ წესებს და პრინციპებს დაიცავთ, თქვენ აუცილებლად გამდიდრდებით. თან არაუგვიანეს 7-10 წლისა. დაიწყეთ საკუთარ ფულთან სწორად მოპყრობა ახლავე.

13. ძალისხმევის მხოლოდ 20% იძლევა შედეგების 80%-ს და ძალისხმევის 80% შედეგების მხოლოდ 20%-ს.

14. სიმდიდრე — ჩვენი უფლებაა, რომელიც მოცემული გვაქვს დაბადებიდან.

15. საკუთარ თავში რწმენა და პოზიტივი — ფინანსური წარმატების მნიშვნელოვანი პრინციპებია. აწარმოეთ წარმატების ბლოკნოტი. მე გირჩევთ ყოველდღიურად ჩაიწეროთ მასში 5 რამ, რაც კარგად გააკეთეთ.

16. იზრუნეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე.

წარმატება წარმოუდგენელია ჯანმრთელობის გარეშე. სიმდიდრეს ჯანმრთელობის გარეშე ბედნიერება და სიხარული არ მოაქვს.

17. თქვენ ყოველთვის უნდა გქონდეთ მინიმუმ 6 თვის სამყოფი ფინანსური რეზერვი, რადგან შესაძლოა დაკარგოთ სამსახური, შემოსავალი, შრომისუნარიანობა და ფული აუცილებლად დაგჭირდებათ.

18. ბევრი ფულის შოვნისთვის, საჭიროა კარგი ცოდნა.

შეეცადეთ მუდმივად ისწავლოთ, იკითხოთ, გაიფართოვოთ მსოფლმხედველობა. სულელებს მხოლოდ კაზინოში უმართლებთ, ისიც ძალიან იშვიათად.

19. კაპიტალიზმი — ეს არის „ნიანგებით სავსე აუზი“.

არ შეიძლება არ გაითვალისწინოთ ის, რომ კაპიტალიზმში ცხოვრობთ. გადარჩება ყველაზე ძლიერი, იქნება მდიდარი და შეინარჩუნებს მდგომარეობას.

20. სიმდიდრე — ეს არის ის, რაც თქვენ გადადეთ და დაზოგეთ.

21. თქვენ არ გიხდიან იმდენს, რამდენიც ღირხართ?

თუ თქვენ იმ თანხაზე მუშაობთ, რაზეც შეთანხმდით, მაშინ სწორედ იმდენი ღირხართ. თუ რაიმე არ გაწყობთ — გამოიცვალეთ სამსახური, ცხოვრების წესი, შეცვალეთ საკუთარი თავი.

b2p.ge

### როცა ბედი ცოდნაზე მეტია...

## მოგებაც ამას ჰქვია!

**ერთი მომგებიანი ბილეთი გაიყიდა ლოს-ანჯელესის გარეუბანში. კიდევ ორი — პენესისა და ფლორიდის შტატებში. ჯეკპოტის ოდენობამ დაახლოებით 1,6 მილიარდი დოლარი შეადგინა. ლატარიის პირობის მიხედვით, გამარჯვებულს შეუძლია მიიღოს 930 მილიონი უმალვე, ანდა მიიღოს წელიწადში 29 წლის განმავლობაში. შანსი მოეპოვებინათ ჯეკპოტი, შეადგენდა — ერთი 292 მილიონთან.**



### კადრი



### ცინცხალი ანეკდოტები

**სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი პირველკურსელებს პირველ ლექციას უკითხავს.**

**— დაიხსომეთ ექიმის ძირითადი კანონი: მედიცინის შესაძლებლობები უსაზღვროა! შეზღუდულია პაციენტთა შესაძლებლობები...**

* * *

**მიხო პირველად მოხვდა სასაფლაოზე. დადის, კითხულობს წარწერებს საფლავის ქვებზე და ბოლოს გაკვირვებული ეკითხება მამამისს:**

**— კი, მაგრამ ცუდი ადამიანები სად არიან დასაფლავებულები?**

* * *

**— ძვირფასო, შენ ყველაზე ლამაზი ანგელოზი ხარ იმათ შორის, ვისაც ოდესმე დედამიწაზე უარსებია, — ეუბნება ბიჭი გოგოს.**

**— მაგრამ ყველაზე ლამაზი ანგელოზი ლუციფერია.**

**— ვიცი.**

* * *

**ტიპს სამსახურში მისაღებად საბუთებს უფორმებენ. კადრების განყოფილების თანამშრომელი კითხულობს მისი შრომის წიგნაკის ჩანაწერებს და განსაკუთრებით ინტერესდება ბოლო ჩანაწერით.**

**— თქვენ სამუშაოდ მიუღიხართ 16 იანვარს, იმავე წლის 24 იანვარს კი გათავისუფლებულხართ. რატომ?**



**— რაც უფრო მეტად ვფხიზლდებოდი, მით უფრო ნაკლებად მომწონდა იქაურობა.**


**გამოიწერეთ:**

**6 თვით — 60 ლარი,**
**1 წლით — 120 ლარი.**

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434



საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოზულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851



**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


*გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აღონიერებთ მართალ სიტყვას!*